პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 14 (9790) | კვირა, 17 იანვარი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Братерський привіт українському народові в день національного свята — 300-річчя возз'єднання з російським народом!**

**ძმური სალამი უკრაინის ხალხს მისი ეროვნული დღესასწაულის — რუს ხალხთან შეერთების 300 წლისთავის დღეს!**

## ურღვევი მეგობრობის დროშით

ხვალ მოძმე უკრაინელი ხალხის, მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავია. სამი საუკუნის წინათ პერეიასლავის რადაზე საზეიმოდ გამოცხადებული აქტით ერთმანეთს სამუდამო მეგობრობით დაუკავშირდა ორი დიდი მოძმე სლავი ხალხი — რუსი და უკრაინელი ხალხები. განხორციელდა უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივი მისწრაფება და ნებასურვილი. ეს იყო ბრძნული გადაწყვეტილება, რამაც შემდეგ ბოლო მოუღო შლიახტის პოლონეთის მიერ უკრაინის დამონებას, უკრაინელი ხალხის ბედუკუღმართობას, რაც ასე მწარედ დაიტირა უკრაინელი ხალხის დიდმა შვილმა ტარას შევჩენკომ გულში ჩამწვდომი, ამაღელვებელი სტრიქონებით: „უკრაინა, უკრაინა, ჩემო სულის კვნესავ, შენი ბედი მაგონდება, გულს ნაღველი ლესავს".

სამი საუკუნის მანძილზე გარეშე და შინაური მტრების წინააღმდეგ გმირულ ბრძოლებში იწრთობოდა და დუღაბდებოდა რუსი და უკრაინელი ხალხის მეგობრობა. ამ მეგობრობის, დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებისა და მხარდაჭერის მეოხებით უკრაინელმა ხალხმა ყველა განსაცდელს გაუძლო, საუკუნეებში გამოატარა ურღვევი მეგობრობის დროშა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვითარების ფართო ასპარეზზე გამოვიდა. მრავალეროვან საბჭოთა ოჯახში გაერთიანებული უკრაინა, ლენინურ — სტალინური ეროვნული პოლიტიკის მეოხებით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით მძლავრი ინდუსტრიის, უაღრესად განვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის, მაღალი კულტურის მატარებელ რესპუბლიკად გადაიქცა. უკრაინაში აშენდა ინდუსტრიული გიგანტები, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, უმაგალითოდ განვითარდა მრავალდარგოვანი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

ორი მოძმე სლავი ხალხის სამსაუკუნოვანი ურღვევი მეგობრობის თარიღს ზეიმით აღნიშნავს მთელი საბჭოთა ხალხი. უკრაინელი ხალხის ეროვნული დღესასწაული საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დღესასწაულია, საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ეროვნების ზეიმია, რადგან ხალხთა შორის მეგობრობა, რასაც ასე ფართო გასაქანი, განვითარება და ახალი სოციალისტური შინაარსი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიეცა, ის მძლავრი ციხე-სიმაგრეა, რაზეც დაიმსხვრა და მომავალშიც დაიმსხვრევა სოციალისტური სახელმწიფოს ყველა ჯურის მტრის ბოროტი ვარაუდები. მეგობრობა ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერების, საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ერის აყვავებისა და განვითარების უშრეტი წყაროა.

მშრომელთა აღზრდას ინტერნაციონალიზმის, ხალხთა დიადი მეგობრობის სულისკვეთებით კომუნისტური პარტიის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საბჭოთა ხალხის ურღვევი, განუყრელი მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალა სრულყოფილად გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში. ეს ძალა ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი გახდა. ომის ქარცეცხლში, და შემდეგ ომით მოყენებული მძიმე ჭრილობების მოშუშებისათვის გაჩაღებულ მუშაობაში კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიწრთო მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ხალხთა მეგობრობა და კავშირი.

სწორედ მეგობრობის ძალამ შეაძლებინა უკრაინელ ხალხს შედარებით მოკლე დროში მოეშუშებინა გერმანელ ფაშისტთა ურდოების მიერ ომის დროს მიყენებული მძიმე ჭრილობები, აღედგინა ფაშისტი ბარბაროსების მიერ აოხრებული და ფერფლად ქცეული ქალაქები და სოფლები, დანგრეული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

მოძმე უკრაინელი ხალხის დღესასწაულს როგორც საკუთარ დღესასწაულს აღნიშნავს ქართველი ხალხი, რომლის მეგობრობას უკრაინელ ხალხთან შორეულ წარსულში აქვს ფესვები. უკრაინელი და ქართველი ხალხის მოწინავე შვილები მტკიცე, გულითადი მეგობრობით იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან. უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსმა ლესია უკრაინკამ, რომლის ხსოვნას სათუთად ინახავს ქართველი ხალხი, საქართველოში ჰპოვა მეორე სამშობლო. ქართული ლიტერატურის კლასიკოსს დავით გურამიშვილს უკრაინა გაუხდა მეორე სამშობლოდ. საქართველოს სასიქადულო მგოსანი აკაკი წერეთელი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ინახავდა უსაზღვრო პატივისცემასა და სიყვარულს უკრაინელი ხალხის თავისუფლების მგზნებარე მომღერლის — ტარას შევჩენკოსადმი.

საბჭოთა ეპოქაში, როცა ჭირსა და ლხინში ყველა ხალხის ერთად ყოფნა უკვე მტკიცედ დამკვიდრდა, უმაგალითოდ გაძლიერდა და გაფართოვდა უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობა. ტრადიციად გადაიქცა უკრაინელ და ქართველ მაღაროელთა და მეშახტეთა, კოლმეურნეთა, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა მეგობრობა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება, ძმური დახმარება, რაც ხელს უწყობს ორივე რესპუბლიკას ახალ წარმატებათა მოპოვებაში.

ამიტომ არის, რომ უკრაინელი ხალხის ზეიმი რუსთავის მეტალურგებისა და ქუთაისელი მანქანათმშენებლების, ჭიათურელი მაღაროელებისა და ტყიბულელი მეშახტეების, მახარაძელი და ბათუმელი კოლმეურნეების, მთელი ქართველი ხალხის ზეიმია. ამიტომ იყო, რომ უკრაინელი ხალხის ეროვნული დღესასწაულისათვის მზადების დღეებს ახალი შრომითი აღმავლობით აღნიშნავდნენ საქართველოს მშრომელები. 13 იანვარს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ბრიგადამ, რომელსაც ქ. ნიკოპოლის მილდამამზადებელ ქარხანაში გამოწრთობილი მგლინავი ს. ქუთელია ხელმძღვანელობს, ცვლაში 514 მილი გაგლინა, რითაც დღიური დავალება სამმაგად შეასრულა, და ეს შრომითი წარმატება უკრაინელი ხალხის დიდ დღესასწაულს მიუძღვნა. ეს არის მრავალთა შორის ერთი ფაქტი, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ხალხების უსაზღვრო პატივისცემასა და მეგობრობას ერთმანეთისადმი.

მოძმე უკრაინის მშრომელები, ისევე როგორც ყველა სხვა რესპუბლიკის მშრომელები, გრანდიოზულ შემოქმედებითს მუშაობას ეწევიან XIX ყრილობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის. ამ დიდ ამოცანებს დიადი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნებათა ხალხები ახორციელებენ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ერთმანეთისადმი ძმური, მეგობრული დახმარების, თანასწორთა შორის უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის ხელშეწყობითა და დახმარების მეოხებით.

დაე კიდევ უფრო ვითარდებოდეს და იფურჩქნებოდეს საბჭოთა ხალხის დიდი ოჯახის მშვენება და სილამაზე — მოძმე უკრაინა!

ცოცხლობდეს და მტკიცდებოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა — ჩვენი დიადი სამშობლოს ძალისა და ძლიერების წყარო!

### ბრძანებულება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა**

**ამხ. ი. ს. ზოდელავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ**

განთავისუფლდეს ამხ. ივლიანე სამსონის-ძე ზოდელავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი. 1954 წ. 16 იანვარი.

### ბრძანებულება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა**

**ამხ. მ. ი. კუჭავას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ამხ. მიტროფანე იონას-ძე კუჭავა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი. 1954 წ. 16 იანვარი.

## ჩვენს დიად სამშობლოში



მოსკოვი ხალხთა მეგობრობისა და მათი ძმური თანამშრომლობის ორგანიზაციის ცენტრია ჩვენს მრავალეროვან სახელმწიფოში. მოსკოვი საბჭოთა მეცნიერების ცენტრია. აქ თავმოყრილია ათობით უმაღლესი სასწავლებელი. მათ შორის წამყვანი ადგილი უჭირავს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც ჩვენი დიადი სამშობლოს მრავალი ერის შვილი სწავლობს. ნახევარი წლის წინათ უნივერსიტეტის ახალი შენობის აუდიტორიები ათასობით ჭაბუკითა და ქალიშვილით აივსო. ყველა მოძმე რესპუბლიკის ახალგაზრდობასთან ერთად აქ ბევრი უკრაინელი ეუფლება მეცნიერებას.

სურათზე: უკრაინელთა ჯგუფი, რომლებიც სწავლობენ გეოლოგიურ ფაკულტეტზე. მარჯვნიდან მარცხნივ — სტუდენტები ვ. ფედორენკო, ი. უსენკო, ლ. ჯულაი, ლ. გარაგულია, ასპირანტი ა. მუზიჩენკო და სტუდენტი ა. ვასილენკო.

ფოტო ა. ნევეჟინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

### უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოში

კიევი, 16 იანვარი. (საკდესი). უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა ღირსშესანიშნავი ისტორიული თარიღის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად 1954 წელს დაიწყოს კიევის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობის, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებისა და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად კიევის შესასვლელთან აიგება ტრიუმფალური თაღი, ხოლო ქალაქ პერეიასლავ-ხმელნიცკში დაიდგმება მონუმენტი.

### მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოში

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად და გაითვალისწინა რა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწისა და მხედართმთავრის ბოგდან ხმელნიცკის უდიდესი დამსახურება რუსი და უკრაინელი ხალხების წინაშე, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა ქალაქ მოსკოვის მაროსეიკის ქუჩას სახელი შეეცვალოს და ეწოდოს ბოგდან ხმელნიცკის ქუჩა.

### უკრაინაში

გრიგოლ აბაშიძე.

ჩვენი ქვეყნები...
მათ თავზე ზავთით
რამდენ ქარიშხალს გადაუვლია!
მარტო ეს აწმყო კი არა, მათი
თვითონ წარსულიც სასწაულია.

იყო ორივე მტრისგან ნათქერი,
ცად ადიოდა ხანძრის ალმური...
და ახლა, როცა კანევს გავცქერი —
ჩემს თვალწინ შავად დგას წიწამურიც.

მაგრამ არ გვინდა!
გუშინდელს ფარდა,
არ მიეკაროს სინათლეს ჩრდილი.
ჩვენ ვდგავართ მზის და სინათლის
კართან,
შექმოფენილნი სამშობლოს დილით.

ვიყოთ მართალნი ამ მზის წინაშე,
გახედე, ბრწყინავს, სადაც ბნელოდა.
ხედავ? მოსულან უკრაინაში
კოლმეურნენი საქართველოდან.

გესმის? დააცვდა გარმონს ღილები,
მღერიან, დევებს გვანან თვალ-ტანად,
მოსულან ძმების გამოცდილების
საქართველოში გადასატანად.

და ჩვენც, დღევანდელ დღეს
ვუმღერთ ოდეს,
ვიმღეროთ მათებრ თანხმოვანებით,
ერთიმეორის ზიარი გვქონდეს
წუთები წვის და აღფრთოვანების.

ვიჩქაროთ, თორემ დრო
გაგვიქროლებს,
ჩქარობენ ჩვენი კოლმეურნენი...
თან გავატანოთ ქართულ
სტრიქონებს
უკრაინული ხორბლის სურნელი.

ჩვენი ქვეყნები...
მათ თავზე ზავთით
რამდენ ქარიშხალს გადაუვლია...
ეს აწმყო მათი, ეს ძმობა მათი,
რა საოცარი სასწაულია!

* *

## კანდიდატების დასახელება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

### კულტურის მუშაკთა პროფკავშირმა დაასახელა ამხ. ტ. მ. ზუევას კანდიდატურა

კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის დასახელების საკითხი.

სხდომის მონაწილეებმა კულტურის მუშაკთა პროფკავშირისაგან ერთხმად დაასახელეს რუსეთის სფსრ კულტურის მინისტრის ამხ. ტატიანა მიხეილის ასულ ზუევას კანდიდატურა. (საკდესი).

### სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობმა ნებაყოფლობითმა საზოგადოებამ დაასახელა ამხ. ა. ს. ჟოლტოვის კანდიდატურა

გაიმართა სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატურის დასახელებას.

საბჭოთა კავშირის გმირმა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა ნ. პ. კამანინმა შეიტანა წინადადება — ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელონ გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი სერგის-ძე ჟოლტოვის კანდიდატურა.

ამხ. კამანინის წინადადებას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი.

სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელონ გენერალ-პოლკოვნიკ ალექსი სერგის-ძე ჟოლტოვის კანდიდატურა.

(საკდესი).

### საიდახმეტ კორგასბაევი ყაზახ კოლმეურნეთა კანდიდატია

ჯალანაში (ყაზახეთის სსრ), 15 იანვარი. (საკდესი). გაიმართა ალმაატის ოლქის კეგენის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება. რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატურის დასახელებას.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ასილბეკოვმა წინადადება შეიტანა — ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაესახელებინათ სოციალისტური შრომის გმირის ძველი მწყემსის საიდახმეტ კორგასბაევის კანდიდატურა.

ამხ. ასილბეკოვის წინადადებას მხარი დაუჭირეს ზოოტექნიკოსმა ამხ. ონგარბაევმა, უფროსმა მეჯოგემ ჯუმახან კორგანბაევმა და სხვებმა.

საერთო კრებამ ერთსულოვნად გადაწყვიტა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში მოლოტოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთაგან დასახელებულ იქნას ამხ. საიდახმეტ კორგასბაევის კანდიდატურა.

### ესტონეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ასახელებს ამხ. ლ. ა. ილისონის კანდიდატურას

ტალინი, 15 იანვარი. (საკდესი). გაიმართა ესტონეთის პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი პროფკავშირების კომიტეტთა ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობით. პლენუმმა განიხილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატის დასახელების საკითხი.

ერთსულოვნად გადაწყდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დაასახელონ ლეონჰარდ-ფრიდრიხ ადის-ძე ილისონის, ესტონეთის პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურა, და სთხოვონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს ამხ. ლ. ა. ილისონი ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

## კანდიდატების დასახელება ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში

### ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს სამხედრო მოსამსახურეთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაასახელა ამხ. მ. ვ. ზელენკოვის კანდიდატურა

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოს სამხედრო მოსამსახურეთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ, განიხილა რა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატურის დასახელების საკითხი, დაასახელა ამხ. მიხეილ ვასილის-ძე ზელენკოვი — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი.

კრებამ სთხოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეიყვანოს ამხ. მ. ვ. ზელენკოვი რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში. (საქდესი).

### ამხ. ი. ბ. აბაშიძე კანდიდატია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისაგან

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის გაფართოებულმა სხდომამ ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საქართველოს სსრ რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში კანდიდატად დაასახელა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი ამხ. ირაკლი ბესარიონის-ძე აბაშიძე და სთხოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაამტკიცოს ამხ. ი. ბ. აბაშიძე ეროვნებათა საბჭოს არჩევნების რესპუბლიკური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში. (საქდესი).

# რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი

## თბილისი—კიევი

ტელეფონით

**როგორ ხვდებიან უკრაინის მშრომელები ისტორიულ თარიღს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს? გუშინ ასეთი შეკითხვით მიმართა გაზეთ „პრავდა უკრაინის“ რედაქციას „კომუნისტის“ თანამშრომელმა, რომელიც ტელეფონით დაუკავშირდა კიევს. ტელეფონთან მოვიდა „პრავდა უკრაინის“ რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. კიურინი. ქვემოთ ვბეჭდავთ ამხ. კიურინის პასუხს.**

საბჭოთა უკრაინის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით ემზადებიან რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისათვის. როგორც ცნობილია, ამ თარიღთან დაკავშირებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა იანვრიდან მაისამდე გაგრძელდება. მაისში მთელ საბჭოთა კავშირში აღინიშნება რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი, როგორც სსრ კავშირის ხალხთა დიდი ეროვნული დღესასწაული.

მთელ ჩვენს რესპუბლიკაში მძლავრი შრომითი აღმავლობაა. ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება. ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს უკრაინის გაზეთების დღევანდელ ნომრებში გამოქვეყნებული სოციალისტური ვალდებულება, რომელიც იკისრეს ოდესის ოლქის ბელოზერკის რაიონის შევჩენკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივმა და ამავე რაიონის ბუდიონის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა. მათ მაღალი პატრიოტული ვალდებულებები იკისრეს: მიიღონ 1954 წელს ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი, მოიპოვონ ახალი წარმატებები საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

მიმდინარე წელს ახალი ტრაქტორებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვების გადიდების სოციალისტური ვალდებულება იკისრა ხარკოვის ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა.

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ეს პატრიოტული თაოსნობა და პარტიის საოლქო კომიტეტებს, რაიკომებსა და ქალაქკომებს, აგრეთვე ქარხნების, ფაბრიკების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პარტიულ ორგანიზაციებს მოუწოდა მხარი დაუჭირონ ამ ინიციატივას, ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად.

მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნება დიადი თარიღი კიევის კულტურულ და სპორტულ ცხოვრებაშიც. დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს სახვითი ხელოვნების გამოფენა, გარდა ამისა, მრავალ მნახველს იზიდავს სახელოსნო სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების მოსწავლეთა ტექნიკურ-მხატვრული გამოფენა. კვების მრეწველობის მუშაკთა კულტურის სასახლეში მიმდინარეობს სსრ კავშირის XXI საჭადრაკო ჩემპიონატი.

თეატრები ამზადებენ ახალ პიესებს, რომლებშიც ასახულია საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის დიადი თემა. დღეს ტ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე უჩვენებენ უკრაინულ ოპერას „ზაპოროჟიელი დუნაის გაღმა“, ხვალ კი — რუსულ ოპერას „ივანე სუსანინს“. ფრანკოს სახელობის უკრაინული დრამის თეატრი დღეს მაყურებელს უჩვენებს „გულს თუ აჰყევი, ჭირს გადაგკიდებს“, ხოლო ლესია უკრაინკას სახელობის რუსული თეატრი — „მასკარადს“.

ასე ხვდებიან სახელოვან დღესასწაულს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს საბჭოთა უკრაინის მშრომელები.

## მოსწავლეთა მეგობრობა

დუშეთი. (საკ. კორ.). გასული წლის შემოდგომაზე ვაჟა-ფშაველას სახელობის დუშეთის საშუალო სკოლაში წერილი მიიღეს: გადაეცეს მე-9 კლასის იმ მოსწავლეს, რომელიც სიაში მეთხუთმეტეა— ეწერა კონვერტზე.

— ძვირფასო ამხანაგო! — წერდა კიევის 104-ე საშუალო სკოლის კომკავშირელი მოსწავლე ვალენტინა ნედორუბოვა, — მე ძალიან მსურს თქვენი გაცნობა. ჩვენი სკოლის მრავალი მოსწავლე ღებულობს წერილებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან. ეს ხელს უწყობს ნაყოფიერ სწავლას და იმ შესანიშნავი გრძნობის აღზრდას, რასაც ხალხთა ძმური მეგობრობა ჰქვია... მე ვცხოვრობ უკრაინის დედაქალაქის გარეუბანში ტბის მახლობლად, სადაც ზაფხულობით ვბანაობთ და ზამთრობით თხილამურებით დავსრიალებთ. მყავს დედა, ძმა და უფროსი და, მამა სამამულო ომის ფრონტზე დაიღუპა. ვსწავლობ ხუთებზე, მინდა გავხდე ჩვენი საყვარელი სამშობლოს სასარგებლო მოქალაქე.

მომწერეთ წერილი, შემატყობინეთ, როგორ სწავლობთ, როგორ მუშაობენ სკოლის პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები.

წერილი მოსწავლე ლიანა მჭედლიშვილს გადასცეს. მან გულთბილად უპასუხა ვალენტინა ნედორუბოვას. მას შემდეგ ისინი ხშირად წერენ ერთმანეთს, უზიარებენ თავიანთ სანუკვარ ფიქრებს.

ამავე სკოლის მოსწავლე ე. ღარიბაშვილს ხშირი მიწერ-მოწერა აქვს კიეველ მოსწავლე ნ. ხომენკოსთან. უკრაინელ ამხანაგებს ხშირად წერენ მოსწავლეები ლ. ელიკოვი და დ. ზაქარიაშვილი.



კრეშჩატიკი — კიევის მთავარი ქუჩა. ფოტო ი. დავიდზონისა.

## სამასი წელი

**სტეფანე ოლეინიკი,**
**სტალინური პრემიის ლაურეატი.**

ოჯახო ჩემო, მოუჯექ სუფრას
და შეწყობილად დავქექოთ ბარემ, —
გაზაფხულივით ნორჩი და ტურფა
დღეს ზეიმს იხდის მშობელი მხარე.
მღერის ქალაქი, მღერის სოფელი:
საყვარელ მოსკოვს სალამი წრფელი!

ჩვენ რუსი ძმისა ვართ მადლობელი,
ჩვენ ერთადა ვართ სამასი წელი!

ჩვენ ბარიკადებს ვიღებდით მკერდით,
ყოველთვის ერთად გვიმუსრავს მტრები,
პერეიასლავის რადიდან დღემდის
ასე მხარდამხარ მოვდივართ ძმები.
გაუტეხელნი, მარად ურყევნი
სამშობლოს ვიცავთ ფოლადის ხელით.

ჩვენ ხომ რუს ძმასთან ვართ განუყრელი,
ჩვენ ერთადა ვართ სამასი წელი!

დიდება ბოგდანს და რუსის დესპანთ,
ვინც ფუძე მისცა ამ უკვდავ ძმობას!
თავისუფლებას ვნატრობდით ერთად,
ერთად ვებრძოდით ჩაგვრას და ყმობას.
არ დაგვერჩა მტერი დაუმსხვრეველი,
გზა გვქონდა ერთი და მეტად ძნელი.

რუს ძმასთან მუდამ ვართ უძლეველი,
ჩვენ ერთადა ვართ სამასი წელი!

შუა ვიყოფდით პურსა და ვაზნებს,
მოუდრეკელნი, განა მონები.
როცა პარტიამ ოქტომბრის გზაზე
დასძრა მაშვრალთა მილიონები, —
ჩვენს ძმას გავყევით ძალგულოვანნი,
გამარჯვებათა გზა განვვლეთ ვრცელი.

ჩვენ ვართ რუს ძმასთან ერთსულოვანი,
ჩვენ ერთადა ვართ სამასი წელი!

მძიმე დღეებში ის მოგვეშველა,
არ დაიშურა ძალა გმირული,
რომ პეტლიურებს არ გაეთელათ
ეს ტრამალები უკრაინული,
რომ ყველა მუხთალს და სისხლის მწოველს
წილად ხვდომოდა სამარე ბნელი.

ბედნიერება ჩვენ ერთად ვპოვეთ!
ჩვენ ერთადა ვართ სამასი წელი!

მეგობარი და ძმა არის ლვიძლი,
ქართველია თუ ალმაატელი, —
და როგორც ფიცი დიადი, გვიძღვის
ხალხთა მშვიდობის დროშა ნათელი.
ჩვენ შემოგვყურებს იმედით, რწმენით
და სიყვარულით მსოფლიო მთელი.

ქვეყნად გუგუნებს დიდება ჩვენი!
ჩვენ ერთადა ვართ სამასი წელი!

ირგვლივ სიცოცხლის ცეცხლი გიზგიზებს,
მივყვებით მტკიცედ პარტიის ძახილს
და სწრაფად მიდის კომუნიზმისკენ
ძლევამოსილი საბჭოთა ხალხი,
არ უშინდება ქარსა და გრიგალს
სიმართლისა და სინათლის მცველი.

ხალხებისათვის მშვიდობა მიგვაქვს!
ჩვენ ერთადა ვართ სამასი წელი!

ოჯახო ჩემო, მოუჯექ სუფრას!
მოსკოვი მღერის და ყველა ერი,
ვით ჩემი მხარე ლაღი და ტურფა,
ახლა ჩვენს დიად ძმობაზე მღერის!
დღესასწაულობს კიევი ჩემი,
გუგუნი მისი სივრცეებს ჰფარავს.

ერთად ვიყავით სამასი წელი
და ჩვენ რუს ძმასთან ვიქნებით მარად!..

უკრაინულიდან თარგმნა
**ხუტა ბერულავამ.**

## დიდი დღესასწაული

დიდი ისტორიული მოვლენა, ორი მოძმე ხალხის — რუსი და უკრაინელი ხალხების გაერთიანების 300 წლისთავი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდი დღესასწაულია. უკრაინელმა ხალხმა სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი თავის უფროს ღვიძლ ძმას, დიდ რუს ხალხს. ფასდაუდებელია დახმარება, რომელსაც დიდი რუსი ხალხი უწევს უკრაინელ ხალხს, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხს.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და უძლეველობის ძლიერი წყარო იყო, არის და იქნება.

ძმური მტკიცე მეგობრობა აკავშირებს ქართველ და უკრაინელ ხალხებს. ამ მეგობრობას მრავალი წლის ტრადიცია აქვს. უკრაინაში დიდ პატივს სცემენ გამოჩენილი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის ხსოვნას, რომელმაც თავისი სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი პოლტავშჩინაში გაატარა. საქართველოში ფართოდ არის ცნობილი სახლი-მუზეუმი სურამში, სადაც ცხოვრობდა და გარდაიცვალა შესანიშნავი უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა. შორიდან უწვდიდნენ ერთმანეთს ძმური მეგობრობის ხელს ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველოსა და უკრაინის ხალხების მეგობრობა, ისევე როგორც ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხის მეგობრობა, განმტკიცდა და მას ახალი შინაარსი მიეცა. იგი გამოიწრთო ხალხთა ერთობლივ ბრძოლაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

უკრაინისა და საქართველოს მშრომელები ყოველდღიურად ამრავლებენ და განამტკიცებენ ურთიერთდახმარებასა და შემოქმედებითს თანამშრომლობას. რუსეთის სფსრ და უკრაინის ქარხნები მოწყობილობას აწვდიდნენ საქართველოს მეტალურგიისა და ავტომობილმშენებლობის პირმშოებს. რუსი და უკრაინელი ოსტატები ამზადებდნენ ქართველ მეფოლადეთა და მგლინავთა კადრებს. მტკიცდება და ვითარდება უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა და მაღაროელთა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც უკვე ტრადიციული გახდა.

მჭიდრო კავშირი დამყარდა უკრაინისა და საქართველოს მეცნიერთა შორის, რომლებიც თავიანთ ღონისძიებათა კოორდინაციას ეწევიან მთელი რიგი აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტმა უკრაინელ მეცნიერებთან ერთად დიდი მუშაობა გასწია უკრაინის დიდ მშენებლობებზე ადგილობრივი საშენი მასალების გამოძებნისა და გამოყენებისათვის. ორი მოძმე რესპუბლიკის მეცნიერთა ღონისძიებებით შესწავლილია საკითხი უკრაინის მეტალურგიულ მრეწველობაში საქართველოს სსრ ჭიათურის საბადოს ღარიბი კარბონატული მარგანეცის მადნის გამოყენების შესახებ.

უკრაინისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების ენათმეცნიერების ინსტიტუტების მეცნიერი თანამშრომლები კოლექტიურად ამუშავებენ ზოგადი ენათმეცნიერების მნიშვნელოვან პრობლემებს. სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას მეცნიერი მათემატიკოსები, ბიოლოგები, ბოტანიკოსები და ლიტერატურათმცოდნეები.

ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთსულოვან ოჯახში ხვდება ახალი წარმატებებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი მკაფიოდ გამოხატავს ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ურღვევ მეგობრობას, რომლებიც მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიდიან წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

**ნ. ი. მუსხელიშვილი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

## სტუმრების გამგზავრება

გუშინ თბილისიდან უკრაინაში გაემგზავრა გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა დელეგაცია, რომელიც საქართველოში სტუმრად იყო მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის არტელის კოლმეურნეთა მოწვევით.

მახარაძეში გაიმართა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენის — რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისა და უკრაინელ კოლმეურნეებთან რაიონის მშრომელების შეხვედრისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო.

დელეგაცია იყო გორში, სადაც დაათვალიერა ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი. უკრაინელმა სტუმრებმა ორი დღე გაატარეს საქართველოს დედაქალაქში. მათ დაათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ავლაბრის ყოფილი არალეგალური ბოლშევიკური სტამბა, იყვნენ თბილისის კინოსტუდია „საქართველოს ფილმში“, სადაც მთავრდება უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობის შესახებ დოკუმენტალური მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება.

უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაცია მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ.

# ჩვენი დიდი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის ზეიმი

**ი. ნაზარენკო,**
უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

300 წელი შესრულდა იმ ღირსშესანიშნავი დღიდან, როცა უკრაინელი ხალხის მძლავრი ნებით გამოცხადდა რუსეთთან უკრაინის შეერთება რუსეთის ერთიან სახელმწიფოში. ამ შესანიშნავ მოვლენას აღნიშნავენ არა მარტო უკრაინელი და რუსი ხალხები, არამედ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხი, როგორც საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის გამარჯვების სასიხარულო დღესასწაულს.

ორი დიდი სლავი ხალხის — რუსი და უკრაინელი ხალხების გაერთიანება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის აქტი იყო. სამუდამოდ დაუკავშირა რა თავისი ბედი მოძმე რუს ხალხს, უკრაინელმა ხალხმა გადაირჩინა თავი უცხოელთა დამონებისაგან, მოსპობის საფრთხისაგან, შეინარჩუნა თავისი ეროვნული ვინაობა და უზრუნველყო თავისი ეროვნული განვითარების შესაძლებლობა. რუსეთთან უკრაინის შეერთებამ დიდად შეუწყო ხელი რუსეთის სახელმწიფოს განმტკიცებას და მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას.

საუკუნეების მანძილზე ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის მიუხედავად უკრაინელი ხალხი იყო რუს ხალხთან და რუსეთის სხვა ხალხებთან ერთად, მათთან ერთად იბრძოდა სოციალური მონობისა და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

უკრაინელი ხალხი რუსი ხალხის შემდეგ პირველი დაადგა სოციალისტური რევოლუციის გზას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად უკრაინელმა ხალხმა პირველად შექმნა თავისი ეროვნული სახელმწიფო, გააერთიანა მასში უკრაინის მთელი მიწა-წყალი, მიაღწია უმაგალითო წარმატებებს სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

* * *

რუსი და უკრაინელი ხალხების ურღვევ მეგობრობას აქვს თავისი დიდი ისტორიული ფესვები — წარმოშობის ერთიანობა, ენის, ტერიტორიის, ხასიათისა და ამ ხალხების მთელი ისტორიის სიახლოვე. ძველისძველი რუსი ეროვნების ერთიანი ფესვიდან თანდათანობით შეიქმნა სამი მოძმე ხალხი — რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხები. ფეოდალური განცალკევებულობის, უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელი თავდასხმების, განსაკუთრებით მონღოლ-თათართა სასტიკი შემოსევის გამო ძველი რუსული მიწა-წყლის ერთიანობა შესუსტებული იყო. ამან გამოიწვია ის, რომ უკრაინის მიწა-წყალი ხელთ იგდეს ლიტველმა, პოლონელმა, უნგრელმა ფეოდალებმა, სულთნის თურქეთმა და მისმა ვასალმა — ყირიმის ხანმა. დამპყრობლებმა უკრაინა საშინლად გაანადგურეს, მხეცურად ჯიჯგნიდნენ მის ცოცხალ სხეულს.

ხანგრძლივი დროის მანძილზე უკრაინის მიწა-წყლის დიდ ნაწილს ფლობდა პოლონეთის შლიახტა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპაში რეაქციის დასაყრდენს წარმოადგენდა. უკრაინის მშრომელები სასტიკად იტანჯებოდნენ ორმაგ უღელქვეშ — პოლონელი და უკრაინელი ფეოდალების უღელქვეშ. ვატიკანისა და იეზუიტთა დახმარებაზე დაყრდნობით პოლონელი ფეოდალები ძალით ნერგავდნენ კათოლიციზმს, აწესებდნენ ეკლესიის უნიას, ცდილობდნენ ძალით გაეპოლონელებინათ უკრაინელი ხალხი, მოესპოთ მისთვის დედაენისა და კულტურის უფლება, გაეწყვიტათ მისი კავშირი მოძმე რუს ხალხთან. ყოველივე ეს არა მარტო აფერხებდა უკრაინის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას, არამედ აგრეთვე ემუქრებოდა უკრაინელი ხალხის თვით არსებობას. ამ მკაცრ განსაცდელთა წლებში უკრაინელი ხალხი მთელი ძალით ესწრაფოდა რუს ხალხთან ერთიანობას, ინარჩუნებდა და სულ უფრო ავითარებდა მასთან ეკონომიურ და კულტურულ კავშირს. ბევრჯერ აღმდგარა იგი წმიდა ბრძოლისათვის მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში მუდამ პოულობდა რუსი ხალხის ძმურ დახმარებას.

უკრაინის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ფურცელი იყო 1648-1654 წლების სახალხო-განმათავისუფლებელი ომი. ეს იყო სამართლიანი ომი, რომელიც მიზნად ისახავდა უცხოელთა ბატონობის დამხობას და მოძმე რუს ხალხთან შეერთებას. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი ბოგდან ხმელნიცკი და მისი უახლოესი თანამებრძოლნი მაქსიმე კრივონოსი, ივანე ბოგუნი, დანილა ნეჩაი და სხვები სათავეში ჩაუდგნენ გაჩაღებულ სახალხო-განმათავისუფლებელ ბრძოლას პოლონეთის შლიახტის წინააღმდეგ და გამოხატავდნენ უკრაინელი ხალხის საუკუნეობრივ მისწრაფებასა და ნებას მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა რუს ხალხთან, თანმიმდევრულად ახორციელებდნენ რუსეთთან უკრაინის შეერთების გეზს.

შეიარაღებული აჯანყების დროშა აფრიალდა ზაპოროჟსკაია სეჩში, რომელმაც პროგრესული როლი შეასრულა უკრაინელი ხალხის ისტორიაში. აჯანყებულთ შეუერთდნენ ათასობით გლეხები, კაზაკები, ქალაქების მოსახლეობა. პოლონელ პან დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლა საყოველთაო სახალხო გახდა. ამ ბრძოლაში მთავარი და გადამწყვეტი ძალა გლეხობა იყო.

მძიმე და შეუპოვარი განმათავისუფლებელი ომის პირველი დღეებიდანვე უკრაინელები მუდმივ დახმარებასა და მხარდაჭერას პოულობდნენ თავიანთი ერთგული მეგობრისა და ძმის — რუსი ხალხის მხრივ.

პოლონელი და ლიტველი ფეოდალების წინააღმდეგ უკრაინელ ხალხთან ერთად იბრძოდა მოძმე ბელორუსი ხალხი. უკრაინელებს დახმარებას უწევდნენ მოლდაველის გლეხებიც. სერიოზულმა დამარცხებებმა, რაც უკრაინელმა ხალხმა პოლონეთის შლიახტის არმიას მიაყენა, ხელი შეუწყო პოლონელი გლეხების ანტიფეოდალური ბრძოლის გაძლიერებას.

რუსეთის სახელმწიფოს განმტკიცების ინტერესებისათვის რუსეთის მთავრობა ყოველნაირად უჭერდა მხარს უკრაინელი ხალხის მისწრაფებას — რუსეთთან უკრაინის შეერთებას. საერო კრებამ 1653 წლის 1 (11) ოქტომბერს მოსკოვში თანხმობა მისცა უკრაინის მიღებას რუსეთის შემადგენლობაში და ომი გამოაცხადა შლიახტის პოლონეთის წინააღმდეგ, უკრაინისა და ბელორუსიის განთავისუფლებისათვის. საერო კრებამ გადაწყვიტა გეტმან ბოგდან ხმელნიცკისა და ზაპოროჟიეს მთელი ლაშქრის მიღება ქალაქებითა და მიწა-წყლით.

საერო კრების ეს გადაწყვეტილება, აგრეთვე ბევრი სხვა ფაქტი მკაფიოდ მოწმობს მთელი რუსი ხალხის მხურვალე მისწრაფებას დახმარებოდა მოძმე უკრაინელ ხალხს მის ბრძოლაში უცხოელ დამმონებელთა წინააღმდეგ.

ცნობამ საერო კრების გადაწყვეტილების შესახებ უკრაინელი ხალხის დიდი სიხარული გამოიწვია. მალე უკრაინაში რუსეთის მთავრობამ გაგზავნა ელჩები ბოიარინ ვ. ვ. ბუტურლინის მეთაურობით. რუსეთის სახელმწიფოს წარმომადგენლებს ზეიმით ხვდებოდნენ უკრაინის ყველა ქალაქსა და სოფელში.

1654 წლის 8 (18) იანვარს ქალაქ პერეიასლავში მოწვეული იყო ყველასათვის ღია რადა, რომელზეც წარმოდგენილი იყო უკრაინელი ხალხის ყველა ფენა. შეკრებილთა წინაშე გამოვიდა გეტმანი ბოგდან ხმელნიცკი. მან გაიხსენა პოლონეთის შლიახტის მიერ მძიმე ჩაგვრა, სულთნის თურქეთის და ყირიმელი ხანების ავაზაკური თავდასხმები და მოუწოდა რადის მონაწილეებს მიეღოთ გადაწყვეტილება რუსეთთან უკრაინის შეერთების შესახებ. გეტმანის მოწოდების პასუხად რადამ ერთსულოვნად განაცხადა, რომ სურს შეუერთდეს რუსეთს.

პერეიასლავის რადამ, გამოხატა რა მთელი ხალხის ნება, თავისუფლად, ერთხმად და უდიდესი აღმავლობით გადაწყვიტა რუსეთთან უკრაინის შეერთება, რაზეც საუკუნეობით ოცნებობდნენ და რისთვისაც იბრძოდნენ უკრაინელები. ამით უკრაინელმა ხალხმა განამტკიცა რუს ხალხთან ისტორიულად ჩამოყალიბებული მჭიდრო და განუყრელი კავშირი და იხსნა თავი პოლონეთის შლიახტის ბატონობისაგან და სულთნის თურქეთის მიერ შთანთქმისაგან.

რუსეთთან უკრაინის შეერთებას დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინელი და რუსი ხალხების შემდგომი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის, იგი აგრეთვე ხელს უწყობდა მათს კულტურულ ურთიერთობას.

* * *

რუს ხალხთან უკრაინელი ხალხის განუყრელი მეგობრობა ორი მოძმე ხალხის უდიდესი ისტორიული მონაპოვარი იყო. მსოფლიო ისტორიისათვის უცნობია ორი ხალხის ასეთი სიახლოვე და ერთიანობა საუკუნეების მანძილზე, როგორიც არის ორი დიდი სლავი ხალხის — რუსი და უკრაინელი ხალხების მეგობრობა და ძმობა. ეს მეგობრობა იწრთობოდა და მტკიცდებოდა ერთობლივ ბრძოლაში ცარიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიისა და მისი საზიზღარი აგენტურის — დიდმპყრობელური შოვინისტების წინააღმდეგ და განსაკუთრებით უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური რუსეთის პროლეტარიატისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გამოჩენას ისტორიულ ასპარეზზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის შემდგომი განვითარებისათვის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის საფუძველზე მათი მეგობრობის განვითარებისათვის.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რუსეთის ყველა ეროვნების მშრომელნი გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდნენ ცარიზმის, მემამულეების, ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მათი საზიზღარი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომ ერთიმეორისათვის წაესისიანებინათ ხალხები. ამის შედეგად განადგურებულ იქნენ უკრაინელი ხალხის უბოროტესი მტრები — ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც ყოველნაირი მეთოდით ცდილობდნენ ჩაეხშოთ კლასობრივი წინააღმდეგობანი, ჩამოეცილებინათ მუშები და გლეხები მემამულეთა და კაპიტალისტთა წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლისაგან. უკრაინის მშრომელებმა უკუაგდეს უკრაინელი ხალხის „ერთიანი ნაკადის“, „უკლასობის“ დამპალი ბურჟუაზიული თეორიები. უკრაინელი ხალხის ეროვნული სიამაყეა ის, რომ იგი მუდამ იყო და კვლავ არის ერთგული ხალხთა ლენინურ — სტალინური მეგობრობისა, რომ იგი განუყრელად დაკავშირებულია ძმობით დიდ რუს ხალხთან, რუსეთის მუშათა კლასთან. უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში უკრაინელ ხალხს მუდამ ახსოვს უკვდავი ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ველიკორუს და უკრაინელ პროლეტართა ერთიანი მოქმედებისას თავისუფალი უკრაინა შესაძლებელია, ამ ერთიანობის გარეშე მასზე ლაპარაკიც კი ზედმეტია“ (თხზ., ტ. 20, გვ. 19).

უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლას განსაკუთრებით გაავთრებული ხასიათი ჰქონდა. დიადი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით უკრაინელმა ხალხმა რუსეთის ყველა ხალხის და უწინარეს ყოვლისა მოძმე რუსი ხალხის დახმარებით დაიცვა თავისი მიწა-წყალი, თავისი თავისუფლება, თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და დაადგა კომუნიზმის მშენებლობის გზას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მეგობრობა უკრაინელ და რუს ხალხთა შორის, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ხალხებს შორის, განმტკიცდა და განვითარდა ახალ, სოციალისტურ საფუძველზე. ეს არის მეგობრობა ექსპლოატაციისა და ეროვნული ჩაგვრისაგან თავისუფალი ხალხებისა, რომლებიც დაკავშირებული არიან კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ერთიანი მიზნით. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ ხალხთა მეგობრობა გადაიქცა საბჭოთა საზოგადოების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად. ეს მეგობრობა მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის საწინდარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავი



ეს წმინდა ბროლისაგან ნაკეთები და მარჯნით მოფერადებული ვაზაც, დიდი მხედართუფროსის ბოგდან ხმელნიცკის გამოსახულებით, ერთგვარი სიმბოლოა დიდი რუსი და უკრაინელი ხალხების ურღვევი მეგობრობისა. რა სიყვარული ჩაუქსოვია ამ ვაზაში მის გამკეთებელს — კიევის შუშა-თერმოსის ქარხნის კოლექტივს. ვაზა, რომლის სიმაღლე 1 მეტრი და 20 სანტიმეტრია, გაკეთებულია რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის აღსანიშნავად.

ფოტო ი. დავიდზონისა.

## ხაი ჟივე უკრაინა!

თქვენს ზეიმზე სიტყვას ვამბობ,
სიყვარულით გული ბრწყინავს.
ხმაამაღლა მსურს შევძახო:
„ხაი ჟივე უკრაინა!"

რუსის ძმობას, მართალს ცამდე,
გაუმარჯოს, ძვირფასებო.
მეგობრობა რომ არ გვწამდეს,
მაშ რისათვის ვიარსებოთ!

„ხაი ჟივე უკრაინა!" —
გურამიშვილს უთქვამს ალბათ...
ეს სიტყვები, ეს ყიჟინა
ჩვენს გულშიაც ჩაისტამბა.

სალამს გითვლით ჩვენი ხალხი,
სიყვარულით გული ბრწყინავს.
თბილისიდან გადმოგძახით —
„ხაი ჟივე უკრაინა!"

ოთარ ჭუპრავა.

# დიადი გრძნობით

სიმონ ჩიქოვანი

რუსეთთან უკრაინის შეერთების დღიდან სამასი წლის შესრულების თარიღს საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხი დიდი აღფრთოვანებით ხვდება და სიხარულით დღესასწაულობს. ეს დღე უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დღეა ჩვენი სამშობლოს მშრომელთა ცხოვრებაში. დიდი რუსი და უკრაინელი ხალხების მიერ სამასი წლის წინათ მიღებული გადაწყვეტილებაში მკაფიოდ გამოიხატა ხალხების დაახლოების და შეთანხმების გრძნობა.

ასეთ ისტორიულ გზას დაადგა შემდეგ მრავალი სხვა ხალხიც და თავისი ბედი დიდი რუსი ხალხის ცხოვრებას დაუკავშირა. ამგვარად, სამასი წლის წინათ რუსეთთან უკრაინის შეერთებაში და შემდეგ სხვა ხალხების მიერ რუსეთთან შეერთების საყოველთაო ლტოლვაში გამომჟღავნდა ისტორიული ფესვები და საფუძვლები იმ დიდი იდეისა, რომელსაც ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობა ეწოდება და რომელიც საბჭოთა ქვეყნის უძლეველობის საწინდარია.

დღეს საბჭოთა კავშირის დიდ ოჯახში საბჭოთა უკრაინა ერთ-ერთი მოწინავე და სახელოვანი რესპუბლიკაა. მის საკოლმეურნეო მინდვრებზე, შახტებში, ქარხნებში იქედება ახალი სოციალისტური ცხოვრება. სამეცნიერო დაწესებულებებში, შემოქმედებითს ორგანიზაციებში ვლინდება უკრაინის ახალი სოციალისტური კულტურა. ამ ქვეყნის მეცნიერების, ხელოვნების და ლიტერატურის მიღწევები ამდიდრებს საბჭოთა კულტურას, ამაღლებს უკრაინის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. მთელ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად ძლიერდება და იფურჩქნება ჩვენი საყვარელი საბჭოთა უკრაინა, მოკავშირე რესპუბლიკების სიამაყე და გულითადი ძმა.

მრავალი წელია უკრაინის და საქართველოს მეშახტეები, მეტალურგები და კოლმეურნეები ერთმანეთს შრომითს და შემოქმედებითს გამოცდილებას უზიარებენ, ეცნობიან, ახალ და ახალ სამუშაოზე ერთმანეთს უახლოვდებიან და სოციალისტურ შეჯიბრებაში მეგობრობას ამყარებენ.

ეს მეგობრობა დიდ გამოხმაურებას პოულობს უკრაინულ და ქართულ პოეზიაში. საერთოდ საბჭოთა მწერლობას დიდი ღვაწლი მიუძღვის ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის განმტკიცებაში. საბჭოთა პოეზიამ აამღერა ხალხის კეთილშობილი ზრახვები და გაამდიდრა მისი ემოციების სამყარო.

უკრაინული და ქართული პოეზიის მეგობრობა მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში გახდა შესაძლებელი და მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განხორციელდა მათი ყოველდღიური თანამშრომლობა. ქართველი და უკრაინელი საბჭოთა პოეტების მეგობრობას მაინც ჰქონდა თავისი ისტორიული ფესვები. წარსულში დათესილი ცალკეული მარცვალი ქარიშხალს უძლებდა და უკეთესი მომავლის იმედს ამკვიდრებდა.

უკრაინის თემა ქართულ პოეზიაში პირველად დავით გურამიშვილმა შემოიტანა. იგი იყო პირველი ქართველი მოაზროვნე, რომელმაც განჭვრიტა რუსი და უკრაინელი ხალხის დიდი მომავალი, იგრძნო მათი კულტურის უშუალო ნათესაობა. ამ დიდი ქართველი პოეტის ლექსებში გაიელვა პირველად უკრაინის ბუნებამ: ხოროლი, ზუბოვკა, უკრაინელი ზოზულენკა, უკრაინული და რუსული სიმღერების მოტივები, ხალხური ხმები პოეტმა შეიყვარა და ეს ხმები ორგანულად დაუკავშირა ქართულ ხალხურ სიმღერებს. დავით გურამიშვილმა ქართულ პოეზიაში ამ სიმღერებისადმი რომანტიკული დამოკიდებულება დაამკვიდრა. მან ბრძოლის ველზე დაუმტკიცა რუსებს და უკრაინელებს ძმობა, მათი სამუდამო მეგობარი გახდა.

თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ უკრაინის დიდმა მომღერალმა ტარას შევჩენკომ თავის პოეტურ შედევრ „კავკასიაში" დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს და დნეპრის სანაპიროდან მეგობრული ხელი ქართველ ხალხსაც გამოუწოდა. ქართული კლასიკური პოეზიის სიამაყემ აკაკი წერეთელმა ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გაიცნო ტარას შევჩენკოს შეუპოვარი, ვაჟკაცური ძახილი და დიდი სიყვარულით გაეხმიანა თავის უფროსს მეგობარს. ტარას შევჩენკოს „კობზარი" აკაკის სულიერი ცხოვრების თანამგზავრი შეიქნა. ეს საყვარელი წიგნი საწოლ ოთახში, სასთუმალთან წლების განმავლობაში გადაშლილი იდო. ტარას შევჩენკოს პოეზია ყოველთვის დიდი სიყვარულით სარგებლობდა ქართველ ხალხში. „კობზარის" ავტორის სულის სიდიადე რევოლუციამდე იგრძნო ქართველმა ხალხმა და მისი ცალკეული სტრიქონები საქართველოს მთაბარს მოედო, როგორც ხალხური პოეზია.

ლესია უკრაინკამ თავისი საუკეთესო ნაწარმოებები დაწერა საქართველოში და როგორც დავით გურამიშვილმა უკრაინაში, მან ჩვენი ბუნების წიაღში დახუჭა თავისი თაფლისფერი თვალები, ხოლო უკრაინელმა პოეტმა პ. გრაბოვსკიმ გადასახლებაში თარგმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის და ილია ჭავჭავაძის ლექსები, უსაზღვრო სიყვარული ქართული პოეზიისადმი შორეულ ტრამალებიდან შეგვატყობინა.

დიდმა ოქტომბრის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაში დაჩაგრული ხალხები გაათავისუფლა, ერთიან ძმურ ოჯახში დაამკვიდრა. საბჭოთა კავშირში დამყარებულმა ხალხთა მეგობრობამ ხალხების საუკეთესო შვილების უდიდესი სიახლოვე და დაძმობილება გამოიწვია. სამამულო ომში დაღვრილი სისხლით ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და ჩვენი უძლეველობის საფუძველი შეიქნა.

მეცხრამეტე საუკუნის დიდმა მომღერლებმა: ალექსანდრე პუშკინმა, მიხეილ ლერმონტოვმა და ტარას შევჩენკომ აამღერეს კავკასიის ბუნება და ხალხების ცხოვრება. რუსმა საბჭოთა პოეტებმა და ბელეტრისტებმა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები უძღვნეს საქართველოს, ქართული თემა რუსულ ლიტერატურაში დაამკვიდრეს და რუსული პოეზიის კლასიკური ტრადიცია ახალ იდეურ საფუძვლებზე განავრძეს. რუსმა საბჭოთა მწერლებმა დიდი დახმარება გაუწიეს მოძმე ხალხების ლიტერატურას. რუსული თარგმანების საშუალებით საბჭოთა ხალხების ლიტერატურამ საკავშირო და საკაცობრიო პოპულარობა და დაფასება მოიპოვა.

საბჭოთა უკრაინის შესანიშნავმა სიტყვის ოსტატებმა დიდი სიყვარულით შეისწავლეს ქართველი ხალხის ისტორიული და დღევანდელი ცხოვრება, ქართული თემა ორგანულად შეიტანეს უკრაინის მწერლობაში. მ. ბაჟანის, მ. რილსკის, პ. ტიჩინას, ა. მალიშკოს, ლ. პერვომაისკის, პ. ვორონკოს და მ. ნაგნიბედას პოეზიაში საქართველოს ცხოვრება აღიბეჭდა მაღალი შთაგონებით და პოეტური ოსტატობით. მ. ბაჟანის ლექსები: „ვაჟა-ფშაველას ნეშტზე", „თმოგვის გზა" და „გორი", პ. ტიჩინას ლექსი „დავით გურამიშვილი უკითხავს სკოვოროდას „ვეფხის ტყაოსანს"", ან მ. რილსკის „რუსთაველი" ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი სიყვარულით შეუთვისებიათ ჩვენი ხალხის გმირული წარსული ჩვენს უკრაინელ მეგობრებს.

მ. ბაჟანმა, მ. რილსკიმ, ა. მალიშკომ, ლ. პერვომაისკიმ, ს. გოლოვანივსკიმ, ი. შპოტამ, პ. ვორონკომ და სხვებმა თარგმნეს ქართული კლასიკური და საბჭოთა პოეზიის ნიმუშები, უკრაინელ მკითხველს შეაყვარეს მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზია. მიკოლა ბაჟანის რედაქციით და წინასიტყვაობით რამდენიმე წლის წინათ უკრაინულ ენაზე გამოვიდა „ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია". მისივე რედაქციით გამოიცა სანდრო შანშიაშვილის რჩეული ლექსები, გ. ლეონიძის ლექსები და ამ სტრიქონების ავტორის ლექსების წიგნი. პავლო ტიჩინამ იცის და ორიგინალში კითხულობს ქართველ პოეტებს და პროზაიკოსებს. ასე ხმიანებს ქართული პოეზია ტარას შევჩენკოს მელოდიურ ენაზე და ათასობით მკითხველს პოულობს საბჭოთა უკრაინაში. ქართული საბჭოთა პროზის საუკეთესო ნიმუშები დიდი ხანია თარგმნილია უკრაინულად. გამოცემულია ლ. ქიაჩელის, კ. ლორთქიფანიძის და ალ. ბელიაშვილის რომანები.

საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიექცა დიდი ყურადღება უკრაინულ მწერლობას. გადაითარგმნა დიდი უკრაინელი პოეტის ტარას შევჩენკოს თითქმის მთელი პოეტური მემკვიდრეობა. „კობზარი" საქართველოში ორჯერ გამოვიდა და ქართველი მკითხველის დიდი სიყვარული დაიმსახურა. ქართველმა პოეტებმა და მთარგმნელებმა: ისამანმა, ი. მოსაშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ, ი. აბაშიძემ, ნ. ნადირაძემ, დ. გაჩეჩილაძემ, გ. ცეცხლაძემ, მ. პატარიძემ და სხვებმა დიდი სიყვარულით თარგმნეს ტარას შევჩენკოს მძაფრი პოეტური დრამატიზმით აღსავსე ნაწარმოებები და იგი ქართველი მკითხველის სულიერ საგანძურში შეიტანეს. ასეთივე სიყვარულით გაკეთდა ივანე ფრანკოს ლექსების თარგმანების წიგნი „პოეზია" (გამოსცა „საბჭოთა მწერალმა" 1952 წ.), ლესია უკრაინკას რჩეული ლექსები და პიესები, რომელიც აგრეთვე ორჯერ გამოვიდა ცალკე წიგნად ოთხი წლის განმავლობაში. ცალკე წიგნად გამოიცა ივანე ფრანკოს „ბორისლავი იცინის" (ი. წულუკიძის თარგმანი), იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა უკრაინის დიდი მწერლის მ. კოციუბინსკის მოთხრობები. ქართველ მკითხველებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ო. გონჩარის რომანები და მოთხრობები (გამოვიდა ცალკე წიგნად დ. კასრაძის თარგმანით) და ვ. კოზაჩენკოს რომანი „ახალი ნაკადები" (რ. გვეტაძის თარგმანი). თარგმნილია და ქართულ თეატრებში დაიდგა ალ. კორნეიჩუკის პიესები „ესკადრის დაღუპვა", „ბოგდან ხმელნიცკი", „პლატონ კრეჩეტი", „ძახველის ჭალა". მზადდება უკრაინული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია და პავლო ტიჩინას, მიკოლა ბაჟანის, მაქსიმ რილსკის და ა. მალიშკოს ლექსების წიგნები. გადმოითარგმნა და ამ დღეებში გამოვა პლ. ვორონკოს პოემა „ლესია უკრაინკა" (ალ. გომიაშვილის თარგმანი).

ქართულ საბჭოთა პოეზიაში დიდი ხანია დამკვიდრდა უკრაინის ხალხის ცხოვრების და ბრძოლის თემა. ქართველმა პოეტებმა ი. გრიშაშვილმა, ალ. აბაშელმა, გრ. აბაშიძემ, კ. კალაძემ, რ. მარგიანმა, ი. ნონეშვილმა, ხ. ბერულავამ და სხვებმა დიდი სიყვარულით უმღერეს უკრაინელ ხალხს და მის მებრძოლ შვილებს. სამამულო ომის დღეები უკრაინაში, დნეპრის ნაპირები, კიევის ბორცვები, მირგოროდი და გურამიშვილის საფლავი, ლესია უკრაინკა და მისი მომხიბლავი ძეგლი სურამში, ქართველი და უკრაინელი კოლმეურნეების შეხვედრები, დონბასის მუშები და ქართველი პარტიზანები უკრაინაში ქართული პოეზიის საყვარელი თემა გახდა. უკრაინის თემა ორგანულია ქართული პოეზიისა და პროზისათვის.

უკრაინელი და ქართველი ხალხების, ისე როგორც სხვა მოძმე ხალხების მეგობრობა, უკვდავია.

## გულწრფელი სიყვარული

მჭიდრო ძმური მეგობრობა აკავშირებს უკრაინის კოლმეურნეებს რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეებთან. მუშაობის გამოცდილების ურთიერთგასაზიარებლად უკრაინელი კოლმეურნეები ხშირად მიდიან რუსეთის ხფსრ კოლმეურნეობებში.

1953 წლის დამდეგს ჩერნოვიცის ოლქის სადგორის რაიონის ბოგდან ხმელნიცკის სახელობის არტელის კოლმეურნეები იყვნენ მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის კოლმეურნეობაში. უკრაინელი სტუმრები გაეცნენ მოსკოვის



ოლქის კოლმეურნეთა მიღწევებს და დადეს მათთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. ამას წინათ ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაცია ჩავიდა სადგორის რაიონში ხელშეკრულების შესრულების შესამოწმებლად. უკრაინელი მეგობრები სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ.

სურათზე: ბოგდან ხმელნიცკის სახელობის არტელის უხუცესი კოლმეურნე ნ. ი. გამალი პურ-მარილით ხვდება მოსკოვის ოლქის კოლმეურნეთა დელეგაციის ხელმძღვანელს მ. ვ. შულგინს.

★ ★



მრავალი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი ორი მოძმე რესპუბლიკის სახელგანთქმულ კოლმეურნეობათა მჭიდრო მეგობრობას. ამ მეგობრობას საფუძვლად დაედო ურთიერთშორის სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებამ დიდად შეუწყო ხელი უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა წარმატებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნაში, კოლმეურნეობათა სამეურნეო და ორგანიზაციულ განმტკიცებაში.

რა სიხარული, რა სიყვარულის გრძნობაა გამოხატული ამ პატარა სურათზე. სტუმარი მუდამ ახარებს ქართველის გულს, და მით უფრო ალავსო მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა გული მოძმე უკრაინის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის დელეგაციის ამასწინანდელმა სტუმრობამ. ეს იყო სოფლის ნამდვილი დღესასწაული.

დიდხანს დაამახსოვრდებათ სტუმრებს და მასპინძლებს შეხვედრის პირველი წუთები. ქართველი მეგობრები პურ-მარილით ხვდებიან უკრაინელ სტუმრებს.

★ ★

დიდ რუს ხალხთან ერთად მოძმე უკრაინელ ხალხს ფასდაუდებელი ამაგი მიუძღვის ქართველი მეტალურგების წინაშე. კრამატორსკის მანქანათმშენებლები რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას სისტემატურად უგზავნიდნენ მანქანა-დანადგარებსა და მოწყობილობას. რუსთავის ბევრმა მეტალურგმა პირველი წრთობა მოძმე უკრაინის მეტალურგებთან მიიღო, მათგან ისწავლა ფოლადის დნობა. დღეს და მუდამ მადლიერების გრძნობით იგონებენ ქართველი მეტალურგები უკრაინელი ძმების ამაგს. უკრაინის მეტა-



ლურგიულ ქარხანაში სწავლამიღებული, დღეს წარჩინებული მეტალურგები (მარცხნიდან მარჯვნივ) ამირან ფანცულაია, გიორგი სიგუა, დავით გოგოლაშვილი, აბრამ ზარიძე, ივანე მეტრეველი და მიხეილ სპანდარაშვილი წარმატებას წარმატებაზე აღწევენ.

---

კომუნისტური პარტია მტკიცედ და თანმიმდევრულად ზრდის ყველა ეროვნების მშრომელ მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა ლენინურ — სტალინური მეგობრობის სულისკვეთებით. საბჭოთა ხალხების მეგობრობამ თავისი დიდი სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა სამოქალაქო ომის წლებში და სოციალიზმისათვის ბრძოლის პერიოდში. ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიწრთო დიდი სამამულო ომის მკაცრ განსაცდელში.

ხალხთა მეგობრობა, რომელიც გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ძირეულ ინტერესებს, ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში მათი უდიდესი წარმატებების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

* * *

საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით უკრაინა მოკლე ისტორიულ ვადაში გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად დიდად განვითარებული კულტურით.

კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შედეგად უკრაინაში სტალინური ხუთწლედების მანძილზე შეიქმნა და მოწინავე თანამედროვე ტექნიკით აღიჭურვა ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, სატრაქტორო, ქიმიური მრეწველობა და მრეწველობის სხვა უმნიშვნელოვანესი დარგები. უკრაინელმა ხალხმა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხის სოციალისტური თანამშრომლობის მეოხებით ააშენა ისეთი სამრეწველო გიგანტები, როგორიც არის ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, კრამატორსკის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხანა, მეტალურგიული კომბინატები „აზოვსტალი", „ზაპოროჟსტალი", ზაპოროჟიეს კომბაინების ქარხანა, გორლოვკის ქიმიური ქარხანა და ბევრი სხვა. აგებულია ლენინის სახელობის დნეპრის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც უდიდესია ევროპაში, მთლიანად რეკონსტრუირებულია დონეცის ქვანახშირისა და კრივოი როგის რკინის მადნის აუზები, წარმატებით შენდება კახოვკის ჰიდროელექტროსადგური. უკრაინა გახდა ქვანახშირისა და ლითონის, რთული მანქანათმშენებლობის რესპუბლიკა.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა უკრაინა ორჯერ ააოხრეს შემოსეულმა იმპერიალისტმა დამპყრობლებმა, მან ბევრი ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით დიდად გაუსწრო წინ ევროპის ისეთ მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიც არიან საფრანგეთი, იტალია და სხვები.

1952 წელს უკრაინის მსხვილმა მრეწველობამ 17-ჯერ მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე რევოლუციამდელი უკრაინის მრეწველობამ; ელექტროენერგიის გამომუშავება 37-ჯერ და მეტად გადიდდა; ლითონდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქცია თითქმის 69-ჯერ გაიზარდა; ქვანახშირის ამოღება — ოთხჯერ და მეტად, თუჯის გამოდნობა — 4,5-ჯერ, ფოლადისა — თითქმის ხუთჯერ.

ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველაზე მსხვილი, მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა, რომელმაც დაამტკიცა თავისი გადამწყვეტი უპირატესობა არა მარტო წვრილსასაქონლო გლეხური მეურნეობის წინაშე, არამედ აგრეთვე მსხვილი კაპიტალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების წინაშე.

საბჭოთა უკრაინა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად გახდა მოწინავე სოციალისტური მიწათმოქმედების რესპუბლიკა, საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ბეღელი. ახლა რესპუბლიკის მინდვრებში მუშაობს 182 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), რაც 69 პროცენტით აღემატება ომამდელს, 51 ათასი მარცვლეულის კომბაინი, ანუ 65 პროცენტით მეტი, ვიდრე ომამდე და ათეულ ათასობით რთული თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა და იარაღი.

საბჭოთა უკრაინის კოლმეურნეობებმა, სოფლის მეურნეობის მექანიზატორებმა და სპეციალისტებმა თავიანთი თავდადებული შრომით მიაღწიეს საშემოდგომო ხორბლის, შაქრის ჭარხლისა და სხვა უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვ მოსავალს. მარტო უკანასკნელი წლების მანძილზე საკოლმეურნეო სოფლის 60 ათასამდე მშრომელი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით და 1.000-ზე მეტ კაცს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. საკოლმეურნეო წყობილებამ უზრუნველყო საბჭოთა გლეხობის შეძლებული და კულტურული ცხოვრება. წლითიწლობით განუხრელად იზრდება კოლმეურნე გლეხების მატერიალური კეთილდღეობა და კულტურა.

უკრაინის დასავლეთ ოლქებში სწრაფი ტემპით ვითარდება მრეწველობა. დაადგნენ რა სოციალისტური განვითარების გზას ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის დახმარებით, ამ ოლქების მშრომელებმა მოკლე ვადაში მიაღწიეს უდიდეს წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში. უკრაინის ძველი ქალაქი ლვოვი გახდა არა მარტო საბჭოთა უკრაინის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული ცენტრი. დამთავრდა სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია. დასავლეთის ოლქების კოლმეურნეობები მიდიან თავიანთი აყვავების, საზოგადოებრივი საკუთრების გამრავლებისა და კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლების გზით.

ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებამ უზრუნველყო დიდ წარმატებათა მიღწევა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური კულტურის განვითარებაში. ოქტომბრის რევოლუციამდე უკრაინაში სულ 20 პროცენტამდე იყო წერა-კითხვის მცოდნე. ახლა უკრაინა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკაა. უკრაინაშია 30 ათასამდე სკოლა, რომლებშიც დედა ენაზე სწავლობს 6,5 მილიონზე მეტი ბავშვი. 1952/53 წლებში 144 უმაღლეს სასწავლებელში 177 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობდა, რაც თითქმის რვაჯერ მეტია, ვიდრე 1914 წელს იყო, და მეტია, ვიდრე დასავლეთ ევროპის რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში. 591 ტექნიკუმსა და სპეციალურ საშუალო სასწავლებელში 234 ათასი მოსწავლე სწავლობდა.

უმაღლეს სასწავლებელთა და ტექნიკუმთა ფართო ქსელი საშუალებას იძლევა მომზადდეს კადრები მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის. უკრაინაში ახლა მუშაობს 300 ათასამდე მასწავლებელი, 50 ათასამდე ექიმი, ათეულ ათასობით ინჟინერი, ტექნიკოსი, აგრონომი, ზოოტექნიკოსი და სხვა სპეციალისტი.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში უკრაინაში შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო ცენტრი გახდა. იგი აერთიანებს 50-ზე მეტი სამეცნიერო დაწესებულების მუშაობას. აკადემიაში მიმდინარეობს ფართო კვლევა ისტორიის, ფილოსოფიის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ეკონომიკის, ფიზიკის, ქიმიის, გეოლოგიის, მექანიკის, ბიოლოგიის დარგში, ტექნიკის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში. აკადემიის ბევრმა დაწესებულებამ თავისი მუშაობით ფართოდ გაითქვა სახელი. რესპუბლიკაში მუშაობს არქიტექტურის აკადემია და ბევრი სხვა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება.

მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების განვითარებაში უკრაინას დიდი დახმარება გაუწიეს რუსმა მეცნიერებმა. მარტო ამ უკანასკნელ ხანს მოსკოვისა და ლენინგრადის სამეცნიერო დაწესებულებებმა უკრაინაში მოამზადეს მეცნიერების 40 დოქტორი და ბევრი კანდიდატი, რაც ხელს უწყობს მეცნიერთა ადგილობრივი ეროვნული კადრების ზრდას.

მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და მოსამსახურეთა რიგებიდან ეროვნული ინტელიგენციის უდიდესი არმიის შექმნა ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის უდიდესი მონაპოვარია, შედეგია ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალისა, შედეგია უკრაინელი ხალხის სულიერი ძალების განუხრელი ზრდისა.

უკრაინაში მუშაობს ათეულ ათასობით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, კლუბი, ბიბლიოთეკა, კულტურის სასახლე. მნიშვნელოვანია უკრაინული ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის წარმატებანი. უკრაინული კულტურის ბევრ მოღვაწეს მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდება.

უკრაინელი ხალხის კულტურულ ზრდას მოწმობს საგამომცემლო საქმის სწრაფი განვითარება. თუ 1913 წელს უკრაინაში გამოცემული წიგნების საერთო ტირაჟი 9.986 ათასი ცალი იყო, 1952 წელს გამოიცა 3.719 სახელწოდების წიგნი, რომელთა საერთო ტირაჟი 69.362 ათასი ცალია. ომისშემდგომ წლებში დამთავრდა უკრაინულ ენაზე ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის გამოშვება 100 ათას ცალად, გამოიცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა 13 ტომი, კარლ მარქსის „კაპიტალი" და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სხვა ნაწარმოებნი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერული, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გამოშვება. უკრაინაში მარტო უკანასკნელი 7 წლის მანძილზე, 1946-დან 1952 წლამდე, გამოიცა სასოფლო-სამეურნეო თემატიკის 2.914 წიგნი 41.649 ათასი ცალი საერთო ტირაჟით. ეს თითქმის ასჯერ აღემატება სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის რაოდენობას, რომელიც მეფის რუსეთში გამოიცა 186 წლის მანძილზე (1730-1916 წლ.).

უკრაინულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა კლასიკური რუსული და მსოფლიო ლიტერატურის თხზულებანი, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკათა მწერლების ნაწარმოებნი. მაგალითად, 1917-დან 1952 წლამდე მ. გორკის ნაწარმოებნი უკრაინაში გამოიცა 253-ჯერ 5.031 ათას ცალად, მაიაკოვსკისა — 44-ჯერ 1.136 ათას ცალად, ა. ს. პუშკინისა — 105-ჯერ 2.353 ათას ცალად და სხვ. ახლა რესპუბლიკაში გამოდის 1.174 გაზეთი და 56 ჟურნალი, რომელთა საერთო ტირაჟი 6 მილიონ ცალს აღემატება.

ახლა რესპუბლიკაში მუშაობს ათი რადიოგადამცემი სადგური, ოთხი ათასზე მეტი რადიოკვანძი. უკრაინის დედაქალაქში აშენდა მძლავრი სატელევიზიო ცენტრი.

უკრაინელი ხალხის სოციალისტური კულტურა ვითარდება მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე სსრ კავშირის ყველა მოძმე ხალხის კულტურასთან განუყრელი შემოქმედებითი კავშირით. უკრაინული საბჭოთა კულტურის განვითარებაზე განსაკუთრებით კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს დიდი რუსი ხალხის სოციალისტური კულტურა.

* * *

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის, რათა განახორციელოს კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა, რომელიც დასახულია პარტიის XIX ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, რომლის მიზანია სოციალისტური ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარება, მშრომელთა განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება გამოხატავს სოციალისტური საზოგადოების განვითარების მომწიფებულ ამოცანებს, შეესაბამება ხალხის ძირეულ ინტერესებს.

უკრაინის კომუნისტური პარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი რაზმი, მისი ცენტრალური კომიტეტის საიმედო და ერთგული დასაყრდენი — მტკიცედ ზრდის და კვლავაც აღზრდის უკრაინელ ხალხს მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის იდეებით, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მტრისადმი, განსაკუთრებით უკრაინელი ბურჟუაზიული ნაციონალისტების — უკრაინელი ხალხის უბოროტესი მტრებისადმი სიძულვილის სულისკვეთებით.

დიდ რუს ხალხთან — ჩვენი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს, ყველა ერთა შორის წამყვან ერთან — მეგობრობა კომუნიზმის გზით ძლევამოსილი წინსვლის პირობაა. უკრაინელი ხალხი მუდამ იბრძოდა და კვლავაც იბრძოლებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ხელყოს ჩვენი ცხოვრების საფუძველთა საფუძველი — უკრაინელი ხალხის მეგობრობა რუს ხალხთან და ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთან.

უკრაინელი ხალხი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ მისი წარმატება და ნათელი მომავალი შესაძლებელია მხოლოდ ყველა საბჭოთა ხალხთან დიადი და ურღვევი მეგობრობით. არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეარყიოს საბჭოთა ხალხების ერთიანობა და დარაზმულობა თავისი ბელადის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო.

# დიადი მისია

## ნათან რიბაკი

### ნაწყვეტი რომან „პერეიასლავის რადის“ მეორე ტომიდან

1654 წლის 18 იანვარს (ახალი სტილით) საყოველთაო-სახალხო რადაზე ქალაქ პერეიასლავში საზეიმოდ გამოცხადდა რუსეთთან უკრაინის შეერთება. ამ დიად აქტს წინ უძღოდა უკრაინელი ხალხის ექვსწლიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი პოლონეთის შლიახტისა და ვატიკანის აგენტურის — კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ.

ამ ამბების აღწერისადმი მიძღვნილია უკრაინელი მწერლის ნათან რიბაკის რომანი „პერეიასლავის რადა“. რომანის პირველ ტომში, რომელიც 1949 წელს გამოვიდა და რომელსაც სტალინური პრემია მიენიჭა, ამბები მიყვანილია რადის მოწვევამდე. ამჟამად მწერალმა დაამთავრა რომანის მეორე ტომი, რომელშიც ასახულია შემდგომი წლების ამბები: უკრაინელი და რუსი ხალხების ერთობლივი ბრძოლა მთლიან სახელმწიფოდ მათი გაერთიანებისათვის.

ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში მოთხრობილია მოსკოვის ელჩების ჩასვლა უკრაინაში ფიცის მისაღებად.

ტრუბეჟის ნაპირზე მდგომი იმ სახლის ეზოდან, სადაც დაისადგურეს მოსკოვის დიდმა ელჩებმა, გამოიქროლეს ცხენოსნებმა ყვირილით: „გზა, გზა დაუთმეთ მოსკოვის მეფის დიდ ელჩებს“, — და ქენებით გაემართნენ ფუნდუკისაკენ.

წყნარი, მზიანი დღე იდგა. ქუჩა ხალხით იყო სავსე. დაფუსფუსებდნენ მხარზე ხონჩაჩამოკიდებული მოვაჭრეები და ხალხს თავის საქონელს სთავაზობდნენ. იქვე ქუჩაში კათხასავით ჩამრგვალებული ომახიანი დედაკაცი, რომელსაც მოქარგული ტყაპუჭი ეცვა, ღვეზელსა და თაფლუჯს ჰყიდდა.

ბერი დადიოდა ხალხში და ყველას სთავაზობდა:

— ჯვრები ათონის მონასტრიდან, ქალაქ პერეიასლავში უდიდესი დღესასწაულის გამო წმიდა მამის ნიკოდიმეს მიერ ნაკურთხი.

— არ დაუყოვნებია მამა ნიკოდიმეს, — იხუმრა სახეალეწილმა, უქუდო, კუნტუშგადაღეღილმა კაზაკმა.

ხალხში ვიღაცამ დასძინა:

— ანგელოზს ხომ არ გამოატანა ჯვრები? რას იტყვი, ღვთის კაცო?

ბერმა ფეხებწინ დაუფურთხა კაზაკებს. მიაძახა:

— აბაზაკებო! ჯოჯოხეთი არ აგცდებათ! ხატანის ტაფაზე ხრუკვა გიწერიათ.

— იმ ტაფაზე კარჩხანები ხტუნავენ, სწორედ საჩვენო საქმეა, — არ ისვენებდა კაზაკი.

ბერმა ხელი ჩაიქნია, გაშორდა ენამახვილს, როგორც ავ სულს, და ხალხში მიიმალა. ახლა ქუჩის მეორე ბოლოში გაისმა მისი დუდლუნა ხმა:

— ჯვრები, ათონის მონასტერში წმიდა მამის ნიკოდიმეს ნაკურთხი...

კაზაკმა, რომელსაც კუნტუში გადაღეღილი ჰქონდა, დაიყვირა:

— გაიხედეთ, ძმებო, ელჩები მოდიან...

— მოდიან!

— მოდიან!

ქუჩა ხმაურით აივსო. ხალხმა ფუნდუკს მიაშურა. ყველას უნდოდა დაენახა, როგორ კლეინოდებს გადასცემდა ბოიარინი ბუტურლინი გეტმანს. კვლავ გაიქროლა ორმა ცხენოსანმა ძახილით:

— გზა, გზა დაუთმეთ მეფის დიდ ელჩებს!

ხალხმა, თითქოს ორად გაიპო, აქეთ-იქით გაიწია და ორ ნაკადად გაემართა ტრუბეჟის ნაპირებიდან ფუნდუკისაკენ.

ფართო მოკირწყლულ მოედანზე გეტმანის სახლის წინ იდგნენ ბოგდან ხმელნიცკი და უმაღლესი მოხელენი, მოედნის გარშემო კი მჭიდროდ შემოჯარულიყვნენ კაზაკები, ამქრის ხალხი, მდაბიოები. ყველას უნდოდა დაენახა და მოესმინა.

გულიაი-დენი და გალაიდაც მოედანზე იყვნენ. ჯერ არ გამონელებოდათ წუხანდელი თაფლუჯი, თავში ჯერ კიდევ უტრიალებდათ გუშინ ნათქვამი ათობით მხურვალე სიტყვა; მაგრამ უკვე ახლოვდებოდა რაღაც ახალი, ის, რასაც საკუთარი თვალით სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ თუ ნახავ.

დაგრიალდა მუსიკა მემუსიკეებმა, რომლებიც კორტეჟის წინ მიდიოდნენ; მათ შვიდ მწკრივად მიჰყვებოდნენ მეთოფურნი მხარზე გადებული გრძელი კაჟიანი თოფებით; მეთოფურებს ეცვათ წითელი ხიფთანები ტყავის შავი საკილოვეებით, თავზე ეხურათ ალუბლისფერი მაუდის მაღალი ქუდები, ზემოთ ბეწვშემოვლებული; მწვანე მეშის ჩექმებზე გრძელი დეზები ეკეთათ. ზურგს უკან მზეზე უელვარებდათ შუბნაჯახები. ყველა მაღალი, ტანადი, მხარბეჭიანი იყო. ისინი მწყობრად მიაბიჯებდნენ და, როცა წყდებოდა დოლის ბრახუნი, ხალხს ესმოდა, რა მხიარულად ჭრიალებდა თოვლი მეთოფურეთა ფეხქვეშ. მეთოფურებს მოჰყვებოდნენ ლურჯკუნტუშიანი ჩიგირინელი კაზაკები, რომლებსაც მხარზე მიდებული შიშველი ხმლები ეპირათ.

გულიაი-დენმა მაგრად ჩაავლო მხარში ხელი გალაიდას.

— ასეთი არაფერი გვინახავს, — წაიჩურჩულა მან აღფრთოვანებით, — ასეთი არაფერი გვინახავს, ნეჩიპორ. არწივები მიაბიჯებენ, გალაიდა! ასეთ ჯარს ვინ მოერევა? — და მყისვე უპასუხა თავის თავს: — ვერავინ!

— ვერავინ! — მხურვალედ თქვა გალაიდამ.

— ახლა ძლიერნი ვართ, — თქვა ერთმა ხნიერმა კაცმა. — ახლა ვინ რას გაგვიბედავს? ერთი სცადონ!

— თითქოს დიდი ხნის უნახავი ძმები შეხვდნენო! — წამოიძახა ახალგაზრდა ქალმა, შერცხვა და პირზე ხელი მიიფარა.

უკვე მოედნის კიდეზე მეთოფურები და კაზაკები ორ მწკრივად დაეწყვნენ. იდგნენ რიგრიგობით, მხარიმხარს, მეთოფური და კაზაკი: პირველი თოფით, რომელიც თავის წინ ეპირა, მეორე — შუბლზე მიდებული შიშველი ხმლით. მოედნის შუაგულში გამოვიდა პერეიასლავის პოლკის თორმეტი ცხენოსანი კაზაკი და დაჰკრა ნაღარა.

მედიდურად მოდიოდა ბოიარინი ვასილ ვასილის-ძე ბუტურლინი. ბეწვის ქუდი ეხურა, წავის საყელოიანი სიასამურის ქურქი ეცვა. მარჯვნივ მოჰყვებოდა მეთოფურთა ჯარის უფროსი — შავულვაშიანი, ტანადი არტამონ მატვეევი, რომელსაც თვალებში მხიარული ცეცხლი გამოუკრთოდა; მარცხნივ — საგარეო საქმეთა საგანგიოს მდივანი ლარიონ ლოპუხინი, რომელსაც გრძელკალთიანი ფერეზეა ეცვა და სიასამურის მაღალი ქუდი ეხურა. მათზე რამდენიმე ნაბიჯით წინ სუფრაჯებს კლეინოდები მიჰქონდათ.

სუფრაჯ სიმონ გოლოვინს მეფის დროშა ეპყრა. სუფრაჯ თევდორე პროტასიევს — წითელ ბალიშზე დადებული გურზი. სუფრაჯ ალექსანდრე კურკოვს — გეტმანის ქოლოსფერი ქუდი, ფარშევანგის ორი ფრთით შემკული და ნაპირებზე სიასამურის ბეწვშემოვლებული. დიდი ელჩის უკან კი საგარეო საქმეთა საგანგიოს შავხიფთანიან მსახურეულთ მოჰქონდათ ორმოცჯერ ასორმოცი სიასამური.

ხმელნიცკის სუნთქვა შეეკრა. თვითონვე ესმოდა აღელვებული გულის ხშირი, მძიმე ცემა. რა აზრები არ უტრიალებდა იმ წამს თავში? სად არიან ის ბოროტი მტრები, რომლებიც სახრჩობელას უწინასწარმეტყველებდნენ, სქიზმატიკოსს უწოდებდნენ, წამებით ემუქრებოდნენ და მხოლოდ ერთი მისწრაფებით ცოცხლობდნენ: ეტანჯათ და ეწამებინათ მისი ძლიერი და დაუმორჩილებელი ხალხი?

მის ზურგს უკან იდგნენ პოლკოვნიკები, ზოგი მათგანი იქნებ არც იზიარებდა მის ფიქრებს, — ხმელნიცკის შეუცდომლადაც კი შეეძლო დაესახელებინა ისინი, — იდგნენ იასაულები და ასისთავები, უმაღლესი მოხელენი, კაზაკები და მდაბიო ხალხი. რამდენს მოუყრია აქ თავი მთელი უკრაინიდან? ყველას თვალწინ მას გადასცემენ მეფის კლეინოდებს. სამუდამოდ, სამარადისო ერთგულებისათვის.

ასე იხსამდა ხორცს ოცნება, რომელსაც გულში ატარებდა ჯერ კიდევ იმ შორეული დღიდან, როცა წავიდა დნეპრის ქვემოწელას მიდამოებში, რათა აემხედრებინა ხალხი სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის საბრძოლველად. რამდენ ათეულ წელს ცოცხლობდა ამ ფიქრით პოლონეთის შლიახტისა და თათრების, იანიჩარებისა და სამგზის წყეული უნიის მიერ ნაწამები მთელი უკრაინის მხარე, რომელსაც აწამებდნენ ყველგან, სადაც კი ცოცხალი ადამიანი იყო!

ხმელნიცკი იმ ადამიანებს როდი ეკუთვნოდა, რომლებიც მოგონებებით ცხოვრობენ. მაგრამ წარსულის გახსენებას იმიტომ ჰქონდა მისთვის დიდი მნიშვნელობა, რომ წარსულისათვის თვალის გადავლებით უფრო ნათლად ხედავდა განვლილ გზას: სად ასცდა სწორ გზას და სად მოიქცა სამართლიანად, რას მიაღწია და რის მიღწევას უნდა ეცადოს.

აზრმა გაუელვა: ამ წუთში რომ დაეცეს იგი მტრის ტყვიით განგმირული, სიკვდილის ჟამს შეუძლია თქვას, რომ საფრთხისაგან დაცულს სტოვებს თავის მხარეს, რომ უფროსი ძმა არავის დააჩაგვრინებს თავის უმცროს ძმას. არ დააჩაგვრინებს! რაც უნდა მოხდეს, არ დააჩაგვრინებს!

ხმელნიცკიმ, რომელიც განთქმული იყო თავისი სიმკაცრით, რომელიც უმაღლეს მოხელეთა შორის ცნობილი იყო თავისი მტკიცე, აუთრთოლებელი ხელით, რომელიც მტრებს აშინებდა თავისი გამბედაობით და კაზაკის ხმალივით მახვილი გონებით, ხმელნიცკიმ, რომელსაც ვატიკანმა დიდიხანია განუმზადა საშინელი სიკვდილი, რომლის სახელს მოწიწებით ახსენებდნენ ისლის ყოველ გახუნებულ სახურავქვეშ, მან — რეჩ პოსპოლიტას რისხვამ, რომის პაპის, ვაზას სამეფო სახლის, თურქეთის სულთნებისა და ყირიმის ყველა ხანის პირადმა მტერმა, მან, რომელზეც მოსისხლე მტრები და ვერაგი ავისმსურველნი გაიძახოდნენ, გული არა აქვსო, — ცრემლის სიმლაშე იგრძნო ტუჩებზე.

ხმელნიცკიმ წამწამებიდან არ მოიშორა ცრემლი, თუმცა იგი თვალს უბინდებდა, არ მოიწმინდა დასველებული ლოყები და ულვაშები.

მარტინ პუშკარმა დაინახა ცრემლი გეტმანის თვალზე და ხელი მოსწია პავლე ტეტერიას. მან მხოლოდ მხარი აიჩეჩა.

ვიგოვსკიმ შეუმჩნევლად მზაკვრულად ჩაიცინა. გენერალურმა მსაჯულმა ბოგდანოვიჩზარუდნიმ ყურში ჩასჩურჩულა ივანე ზოლოტარენკოს:

— რა დაემართა გეტმანს? ღმერთო დაგვიფარე, უქეიფოდ ხომ არ არის?

ზოლოტარენკომ უპასუხა:

— ამ უქეიფობის ხახელია განხორციელებული ოცნების სიხარული.

გეტმანმა გაიგონა ეს სიტყვები. ალერსიანად გაიფიქრა ზოლოტარენკოზე: „ეს არ გამყიდის. მტკიცედ დამიჭერს მხარს“.

აი უკვე მოახლოვდნენ მოსკოველი ელჩები.

ხმელნიცკი უმაღლეს მოხელეთა თანხლებით დაიძრა მათ შესახვედრად.

ბუტურლინმა სუფრაჯს დროშა გამოართვა და გეტმანს მიმართა:

— მისი უდიდებულესობა მეფე ალექსი მიხეილის-ძე, რუსეთის დიდი მთავარი და თვითმპყრობელი, ამ დროშას გიწყალობებს შენ, ღვთისმოშიშო გეტმანო. ამ სამეფო დროშაზე აღბეჭდილია მაცხოვრის სახე, რათა სძლიო ყველა შენს მტერს.

ხმელნიცკიმ ორივე ხელით ჩამოართვა დროშის ტარი, ეამბორა ოქრომკედით მოქარგულ ალისფერ-ლაჟვარდოვან დროშას, რომლის ერთ მხარეს მაცხოვრის ხატი იყო, ხოლო მეორე მხარეს — ღვთისმშობლისა, და გადასცა იგი გენერალურ თუღლოსან ტომილენკოს.

ბუტურლინმა წითელი ბალიშიდან აიღო ქუდი, გაუწოდა იგი გეტმანს და უთხრა:

— თავსა შენსა, ღვთისაგან მაღალი გონებით დაჯილდოებულს, შენი ხალხის სიცოცხლისა და სარწმუნოების დასაცავად საგმირო საქმეებისათვის შთაგონებულს, უბოძებს ამ ქუდს მისი უდიდებულესობა მეფე, რათა ღმერთმან ჯანმრთელად დაიცვას თავი შენი, რათა იგი მარად ფიქრობდეს შენი ხალხისა და ქვეყნის ბედნიერებისათვის.

გეტმანმა გამოართვა ქუდი, ეამბორა და დაიხურა.

გეტმანისათვის გურზის გადაცემისას ბოიარინმა ისე აღიმაღლა ხმა, რომ ყოველი სიტყვა გარკვევით ისმოდა მოედანზე.

— გურზსა ამას კეთილმორწმუნე და ქრისტესმოყვარე ხელმწიფე ჩვენი, მეფე და დიდი მთავარი ალექსი მიხეილის-ძე, მთელი რუსეთის თვითმპყრობელი, შენი მწყალობელი, გიბოძებს იმად, რათა შენს ხელთქვეშე მძლავრ რიგებად იდგეს მამაცი ლაშქარი და არ ანებებდეს მოსისხლე მტრებს, ვითარცა ბილწ აფთრებს, შენი სამშობლო მხარის, სარწმუნოებისა და ხალხის აუგად ხსენებასა და გაუპატიოსნებას, რათა ამ გურზის საფარქვეშ, ჩვენი დიდი მეფის სკიპტრის მფარველობით, კეთილდღეობა და მშვიდობა სუფევდეს.

ხმელნიცკი ეამბორა გურზს და მაგრად ჩაბღუჯა მარჯვენა ხელში.

გეტმანის წინაშე დაბლა თავდახრილმა მსახურეულებმა სიასამურები წაიღეს პარმაღისაკენ, სადაც ყველას თვალწინ გადასცეს გეტმანის იასაულებს.

ხმელნიცკიმ ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა ბოიარინისაკენ.

— ღმერთია მოწმე, — თქვა მან მღელვარებით, — და მთელმა ჩვენმა ხალხმაც იცის, რომ მრავალი წლის განმავლობაში გამარჯვებას ვაღწევდით ჩვენს მოსისხლე მტრებზე და მხოლოდ იმაზე ვოცნებობდით, რომ რუს ადამიანებთან ერთიანი სახელმწიფოს წიაღში ვყოფილიყავით. ჩვენმა განზრახვამ ხორცი შეისხა. მეფე ალექსი მიხეილის-ძემ ყურადღით თვით გულიდან ამომავალი ჩვენი ხმა, შეგვიწყალა და თავისი მაღალი ხელი გამოგვიწოდა. ფიცსა ვდებ მთელი ჩვენი ლაშქრისა და ხალხის სახელით, რომ არ ვუღალატებ მის მეფურ ხელს და ურღვევად და მარად დავიცავ ამ ფიცს, სანამ პირში სული მიდგას.

დაჰკრეს ნაღარა.

გეტმანი, ბოიარინი ბუტურლინი, მეფის სათათბიროს მდივნები, სუფრაჯები, უმაღლესი მოხელენი და პოლკოვნიკები წავიდნენ მოედნიდან, თანდათანობით შედიოდნენ სახლის მაღალ კარში.

პარმაღზე დარჩნენ მცველები, ხოლო გარშემო დიდხანს ტრიალებდნენ ცნობისმოყვარე კაზაკები და მდაბიო ხალხი, ელოდებოდნენ — იქნებ რომელიმე უმაღლესი მოხელე ან ელჩი გამოვიდესო.

მეთოფურები და კაზაკები სტუმრად წავიდნენ პერეიასლაველებთან. ყოველ სახლში შემწვრისა და მოხარშულის სუნი იდგა, ტრიალებდა თაფლუჯისა და გაცხელებული არყის მაგარი სურნელი. ისმოდა ხმამაღალი შეძახილები, სიცილი და სიმღერა.

ივანე გულიაი-დენი და გალაიდა კაზაკ პიატიკოპს ესტუმრნენ. იქ უკვე სამი მეთოფური იჯდა. დიასახლისი და მისი ქალიშვილი მაგიდაზე დგამდნენ შემწვარ ხორცს, მუჟუჟს, კომბოსტოსა და ვაშლის წნილს.

პიატიკოპი ფიალებში არაყს ასხამდა. შემდეგ ფიალა ასწია და წარმოთქვა:

— დავლიოთ, ძმებო, ჩვენი სადღეგრძელო, რომ პოლონეთის მეფესა და სულთანს დაასლოკინოს.

დალიეს. პური დაყნოსეს. პიატიკოპმა პირი ხელის ზურგით მოიწმინდა.

მოსკოველმა მეთოფურმა ვასილ ლევიკინმა აიღო მეორე ფიალა, რომელიც დიასახლისმა მიართვა, მდაბლად დაუკრა მას თავი და წარმოთქვა:

— ბევრ სახელმწიფოს არ მოეწონება, ამიერიდან ერთიანი ლაშქარი რომ გავხდით. შევსვათ იმის სადღეგრძელო, რომ ასე მტკიცედ ვიყოთ, სანამ მზე ქვეყანაზე ანათებს.

კვლავ დალიეს.

გულიაი-დენს გული სიხარულით ევსებოდა. განა წინათ შეიძლებოდა ასეთი რამ, რომ სხვადასხვა სახელმწიფოს მეომრებს ღვიძლი ძმებივით ერთ მაგიდასთან დაელიოთ? პოლონეთის მეფის ჟოლნერებთან განა ასე დავჯდებოდი?

პიატიკოპი გადახედავდა ხოლმე ძველ მეგობარს. უკვირდა მისი ქცევა.

— თითქოს ქალიშვილი გაგეთხოვებინოს, ივანე, — იხუმრა მასპინძელმა, — თითქოს შვილიშვილებიც შემოგხვეოდნენ, ისეთი წყნარი და დინჯი გახდი. რა, კაზაკი აღარა ხარ?

გულიაი-დენმა მშვიდად უპასუხა:

— კაზაკი ვარ, სანამ საჭიროა შლიახტასთან ბრძოლა, ხოლო შემდეგ როგორი ვიქნები, თუ ბრძოლაში არ ამჩეხეს, ძნელი გამოსაცნობია; მაგრამ ჩვენი დღესასწაული მიხარია, მეტისმეტად მიხარია, ძმაო, და ძალიან მინდა სიმღერა შემოვძახო.

გალაიდამ საჩქაროდ დაცალა ფიალა, გრძელ სკამზე მოხერხებულად ჩამოჯდა და სიმღერა წამოიწყო:

**Гей ви хлопці, ви, добрі молодці, не журіться,**
**Посідлайте коні воронії, садовіться,**
**Та поідем у чисте поле, у Варшаву,**
**Та наберемо червоної китайки на славу!**

მეთოფურები მაღალი ხმით აჰყვნენ:

**Та наберемо червоної китайки на славу!**

გულიაი-დენი ბანს ეუბნებოდა. უცებ გაიფიქრა: რამდენი ღარიბია რეჩ პოსპოლიტას სოფლებშიც! შლიახტიჩები იმათაც აძრობენ ტყავს. მიუხედავად ამისა, ემორჩილებიან თავიანთ მეფეს, იარაღით მოდიან ჩვენს ქალაქებსა და სოფლებზე. როგორ უნდა გავიგოთ ეს? განა არ შეიძლება, რომ ყველა ღარიბმა ყველა ქვეყანაში უომრად იცხოვროს? კარგად ვერ არის მოწყობილი ეს ფართო და ვრცელი ქვეყანა...

... იანვრის თოთხმეტს მეფის დიდი ელჩები: ბოიარინი, ტვერის მეფისნაცვალი, ვასილ ვასილის-ძე ბუტურლინი, მოსკოველ მეთოფურთა მეთაური არტამონ მატვეევი, მურომის მეფისნაცვალი, მეფის სათათბიროს მოხელე ივანე ვასილის-ძე ალფეროვი და საგარეო საქმეთა საგანგიოს მდივანი ლარიონ ლოპუხინი კიევიდან წავიდნენ. მათ ახლდნენ პოლკოვნიკი ივანე ზოლოტარენკო და მცველი რაზმი, რომელშიც შედიოდა კაზაკთა ოთხი ასეული — ჩიგირინის პოლკის ორი ასეული და პერეიასლავის პოლკის ორი ასეული.

გენერალური იასაული დემიან ლისოვეცი ჩიგირინის პოლკის პირველ ასეულში მიდიოდა. მას ხელში გეტმანის თუღი ეკავა. ეს იმას ნიშნავდა, რომ გეტმანის ნებით კეთდებოდა საქმე, რისთვისაც ჯარი მიდიოდა.

დიდი ელჩები, კიევს გარდა, უნდა მისულიყვნენ ნეჟინსა და ჩერნიგოვში. დანარჩენ ქალაქებში ფიცის მისაღებად წავიდნენ მეფის სუფრაჯები პოლკის იასაულებისა და გადამწერთა თანხლებით, რომლებიც მანამდე გამოძახებული იყვნენ რადაზე პერეიასლავში.

მარხილში ბუტურლინსა და მატვეევს შუა იჯდა ხმელნიცკი. მან დიდი ელჩები გააცილა ქალაქიდან ორი ვერსის მანძილზე. თოვლით დაფარულ მინდორში, სადაც კიევის გზა იწყებოდა, ელჩების მარხილები გაჩერდნენ.

ხმელნიცკი გამოეთხოვა ელჩებს. სამგზის გადაჰკოცნეს ერთმანეთი მან და ბუტურლინმა, მატვეევმა და ალფეროვმა. მაგრად ჩამოართვა ხელი საგარეო საქმეთა საგანგიოს მდივანს ლოპუხინს. გული ბედნიერებითა და სიხარულით უცემდა.

ხმელნიცკიმ მსუბუქად მოიშორა ჯილავდარი კაზაკის ხელი და ცხენს მოახტა.

ცხენმა ნალიანი ფლოქვი მიწას დაჰკრა, თავი დახარა და დაიჭიხვინა.

— გრძნობს, რომ უნაგირზე ნამდვილი კაზაკია! — გადმოსძახა მარხილიდან არტამონ მატვეევმა.

— ჯერ კიდევ მომდევს ჯანი; ჯერ კიდევ დუღს ძარღვებში კაზაკის სისხლი, — მხიარულად თქვა გეტმანმა. — გზა მშვიდობისა! — უსურვა ელჩებს ხმელნიცკიმ, ქუდი მოიხადა და დაუქნია.

ელჩებმაც მოიხადეს ქუდები. ბუტურლინმა უსურვა:

— კარგად ბრძანდებოდე, გეტმანო. ნახვამდის!

ელჩების მარხილები დაიძრნენ.

ივანე ზოლოტარენკომ უკან მოიხედა. ხმელნიცკი, მარჯვენა ხელით დონინჯშემოყრილი, წელში გამართული იჯდა უნაგირზე.

მას გარშემო კაზაკები ეხვივნენ.

ზოლოტარენკომ ცხენს სადავე მიუშვა და უკან აღარ მოუხედნია.

თარგმანი რუსულიდან
**ნინო მჟველიძისა.**



სტალინური პრემიის ლაურეატის მხატვარ მ. ი. ხმელკოს სურათი „სამუდამოდ მოსკოვთან, სამუდამოდ რუს ხალხთან“.

## პოლონეთში ემზადებიან რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაულისათვის

ვარშავა, 15 იანვარი. (საკდესი). რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის მოახლოებასთან დაკავშირებით პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ვარშავის ინსტიტუტი ემზადება ამ სახელოვანი წლისთავის დღესასწაულისათვის.

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, ინსტიტუტი ფართო მასშტაბით ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, რათა პოლონეთის საზოგადოებრიობას გააცნოს უკრაინელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომლის ისტორიასაც ჩქმალავდნენ და განზრახ ამახინჯებდნენ პოლონეთის ბურჟუაზიული ისტორიკოსები.

ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ახორციელებენ იმ ნაკლებად ცნობილი და შეუსწავლელი დოკუმენტების გამოკვლევას, რომლებიც პოლონეთის ბიბლიოთეკებსა და არქივებში ინახება.

იმ დოკუმენტებს შორის, რომლებიც იპოვნეს და ახლა სწავლობენ, არის, კერძოდ, 1648 წლის ნაკლებად ცნობილი ხელნაწერი ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ ვარშავის ხალხის მასების აჯანყების შესახებ. ამ აჯანყებამ იფეთქა, როცა ცნობილი გახდა უკრაინელი ხალხის გამარჯვებანი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

მიმდინარე წელს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ინსტიტუტის ინიციატივით გაიმართება სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნება პერეიასლავის რადის 300 წლისთავს.

## ბულგარეთის სახალხო კრების სესიაზე

სოფია, 15 იანვარი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის სახალხო კრების საგანგებო სესია მუშაობას განაგრძობდა. მას შემდეგ, რაც დეპუტატებმა დადეს კონსტიტუციით დაწესებული ფიცი, სესიამ მოისმინა და დაამტკიცა დეპუტატების რწმუნებათა შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარის ივანე რაიკოვის მოხსენება. მან განაცხადა, რომ სახალხო კრების არჩევნები მოეწყო საარჩევნო კანონის სრული შესაბამისობით და რომ ყველა არჩეულ დეპუტატს საჭირო რწმუნებანი აქვს.

სესიამ აირჩია სახალხო კრების პრეზიდიუმი, რომელშიც შედიან თავმჯდომარე, ორი მოადგილე, მდივანი და 15 წევრი. სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს გიორგი დამიანოვი, მოადგილეებად — გიორგი კულიშევი და კირილე კლისურსკი, მდივნად — მინჩო მინჩევი.

სესიამ აირჩია აგრეთვე საკანონმდებლო, საბიუჯეტო და საგარეო საქმეთა კომისიები.

შემდეგ სესიამ განიხილა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის საკითხი. დეპუტატმა გიორგი ტრაიკოვმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირის დეპუტატთა ჯგუფის სახელით წინადადება შეიტანა, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობა დაეკისროს დეპუტატ ვილკო ჩერვენკოვს და მას დაევალოს რესპუბლიკის მთავრობის შედგენა. სახალხო კრების დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს ეს წინადადება.

## კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ხსოვნისათვის

ბერლინი, 15 იანვარი. (საკდესი). 15 იანვარს შესრულდა 35 წელი მას შემდეგ, რაც ავაზაკურად მოკლეს ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლები კარლ ლიბკნეხტი და როზა ლუქსემბურგი. გაზეთები „ნოიეს დოიჩლანდი“, „ტრიბუნა“, „იუნგე ველტი“, „ბერლინერ ცაიტუნგი“ და სხვები დღეს ათავსებენ სტატიებს კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

## მდგომარეობა ირანში

თეირანი, 15 იანვარი. (საკდესი). როგორც ჟურნალი „თეჰრანე მოსავარი“ იუწყება, წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ირანის სხვადასხვა პუნქტში მღელვარება და შეტაკებები მოხდა სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის. შეტაკებათა შედეგად მეჰელათში მოკლულია 2 და დაჭრილია 30 კაცი.

## ფრანგი მეცნიერები პატივს სცემენ დიდი ლენინის ხსოვნას

პარიზი, 15 იანვარი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის გარდაცვალების მე-30 წლისთავთან დაკავშირებით, პროგრესული ფილოსოფიური ჟურნალის „პანსეს“ რედაქციამ გუშინ გამართა კრება, რომელზეც მოისმინეს მოხსენებანი თემაზე: „ლენინი, როგორც მეცნიერი და ფილოსოფოსი“. კრებას თავმჯდომარეობდა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟაკ დიუკლო. მან თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ ვ. ი. ლენინი იყო უდიდესი მარქსისტი თეორეტიკოსი, მეცნიერი და ფილოსოფოსი. მას ჰქონდა გენიალური მოაზროვნისა და მუშათა კლასის რევოლუციური ბელადის თვისებები.

ჟაკ დიუკლოს შესავალი სიტყვის შემდეგ პროფესორმა ჟან ორსელმა გააკეთა მოხსენება, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის შესანიშნავ ნაწარმოებს „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლენინის ამ გენიალურ შრომას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და მეტად აქტუალურია ამჟამად.

შემდეგ სიტყვა მიეცა ფილოსოფიის პროფესორს ანრი ლეფევრს, რომელმაც დაახასიათა ვ. ი. ლენინის მოღვაწეობა მარქსისტული მატერიალისტური ფილოსოფიის განვითარებაში.

## დამთავრდა მოთხილამურეთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება

სვერდლოვსკი, 15 იანვარი. უკტუსის მთაზე დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის უძლიერეს მოთხილამურეთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება.

ოთხი დღის შეჯიბრების შედეგად სსრ კავშირის სპორტსმენებმა მოიპოვეს პირველი ადგილი 30 კილომეტრ მარულაში და 4×10 კილომეტრ ამანათრბენში. ფინელმა მოთხილამურეებმა პირველი ადგილი დაიკავეს 15 და 50 კილომეტრ დისტანციებზე.

## სსრ კავშირის XXI საჭადრაკო ჩემპიონატი

კიევი, 15 იანვარი. (საკდესი). გუშინ გათამაშდა გადადებული პარტიები. ნეჟმეტდინოვგელერის შეხვედრა გელერის დამარცხებით დამთავრდა. ნეჟმეტდინოვს გადადებული ჰქონდა პარტია აგრეთვე ტაიმანოვთან. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ფურმანმა მოუგო ლივშინს. ბორისენკოს სამი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი. მან მოუგო სოკოლსკის, წააგო ლივშინთან და ყაიმით დაამთავრა პარტია ილივიცკისთან.

ყაიმით დამთავრდა გელერ-ლისიცინის და ავერბახ-ლისიცინის პარტიები, ხოლმოვმა ყაიმით დაამთავრა პარტიები ავერბახთან და სუეტინთან, ხოლო ბანიკმა ლილიენტალთან. პეტროსიანმა მოუგო ბანიკს და ყაიმზე დათანხმდა პარტიაში ილივიცკისთან.

ხუთი ტურის შემდეგ წინ არიან: ფურმანი — 4 ქულა, პეტროსიანი და კორჩნოი — 3,5 ქულა, ლისიცინი — 3 ქულა და 1 გადადებული პარტია, ავერბახი, ილივიცკი, ლილიენტალი და ტაიმანოვი — სამ-სამი ქულა.

## მოტოგადარბენა თბილისი-კიევი

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავისადმი მიძღვნილი თბილის-კიევის მოტოგადარბენის მონაწილენი წარმატებით განაგრძობენ გზას. მათ უკან მოიტოვეს ნოვოროსიისკი და სხვა ქალაქები. მოტოციკლისტი სპორტსმენები ყირიმის ოლქის ტერიტორიაზე არიან. 15 იანვარს ისინი ჩავიდნენ ჯანკოიში და დაადგნენ რა სიმფეროპოლ-მოსკოვის ავტოსტრადას, გეზი აიღეს კიევისაკენ.

თბილისის კინოსტუდია „საქართველოს ფილმის“ კინოოპერატორებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გადარბენაში, გადაიღეს მთელი რიგი კადრები გადარბენისადმი მიძღვნილი სპეციალური კინოჟურნალისათვის.

**ა. დადიანი,**
საქდესის სპეც. კორესპონდენტი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.


### ოპერისა და ბალეტის თეატრი

| | |
|---|---|
| 17 იანვარს | დღის 12 საათზე ზ. ფალიაშვილი — დაისი საღამოს ჯ. ვერდი — ტრუბადური |
| 19 იანვარს | ჯ. ვერდი — ტრავიატა |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

### დღეს თბილისის თეატრებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

**მარჯანიშვილის სახელობის** — სასტუმროს დიასახლისი (რკინიგზელის სახლში), **გრიბოედოვის სახელობის** — თივა და ავი ძაღლი (დილას და საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ჩვენი ნაცნობები (დილას), რაც გინახავს, ველარ ნახავ (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომბლე (აბონემენტი № 16, 12 ს.), სურამის ციხე (აბონემენტი № 37, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ჩექმებიანი კატა (10 ს. 30 წ.), უეცარი სიმდიდრე (5 ს.), **სანიტარული კულტურის** — მცდარ გზაზე (დილას), საგზურები (საღამოს), **თოჯინების ქართული** — ზარმაცის სიზმარი (11 ს.), ალადინის ჯადოსნური ლამპარი (2 ს. 30 წ.).

მოქალაქე არუთინ ტარასის-ძე დარბინიანმა, მცხოვრებმა ბორჯომის ქ. № 17, აღძრა საქმე საბჭოს ქ. № 138 მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ხაჩატურის ასულ დარბინიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო სასამართლო.

დისწულები აკაკი, ვახტანგ გაგუები, ეკატერინე დოლაბერიძე, მარგო ძაგნიძე, სიძეები ნ. დოლაბერიძე, შ. ძაგნიძე ოჯახებით იუწყებიან **ლიზა ივლიანეს ასულ ნაცვლიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-I, 8 ს. გამოსვენება 19-I, 4 ს. სუნდუკიანის შეს. № 4.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოების პრეზიდიუმი იუწყება ექიმ **შალვა გიორგის-ძე ლამბაშიძის** გარდაცვალებას.

და ეკატერინე, დისწულები ვახტანგ, დიმიტრი, პართენ ფეიქრიშვილები, რძლები ცეცილია გოპაძე, მარიკა ფავლენიშვილი შვილით ნელით იუწყებიან **ელენე ზაქარიას ასულ ჯილაური-დათუნაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17, 18-I, 8 ს. გამოსვენება 19-I, 5 ს. ახალციხის ქ. № 6.

შვილები მარო, ლენა, შალვა სამნიაშვილები, სიძეები დიმიტრი გურული, მიშა ჩხიკვიშვილი, შვილიშვილი ვახტანგ იუწყებიან **ანა ალმასხანის ასულ სამნიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-I, 4 ს. ქ. ზესტაფონში. გამოსვენება წერეთლის ქ. № 15.

შვილი ვასილ, რძალი სოფიო, შვილიშვილები თამარ, რუსუდან მესხელები, სიძეები ბ. ლექავა, არჩილ კვეზერელი-კოპაძე შვილებით იუწყებიან **ანა პავლეს ასულ მესხელის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17-I, 2 ს. კიევის ქ. № 3.

რძალი შურა, შვილიშვილები თამარ, შალვა, მედეა, ნინო ბაბუხადიები და მარიამ ზოსიაშვილი იუწყებიან **მარიამ გლახუას ასულ ბაბუხადიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. კითხიჯში (ტყიბულის რ.).

ქალთა 38-ე საშუალო სკოლის პედკოლექტივი იუწყება ექიმ **ალექსანდრე სოლომონის-ძე კუტალაძის** გარდაცვალებას.

დ. არაყიშვილის სახელობის თბილისის I მუსიკალური სასწავლებლის და სკოლის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ე. ტატიშვილს მისი დედის **ოლღა გრიგოლის ასულ ტატიშვილის** გარდაცვალების გამო.

ძმისწული გოგი ლამბაშიძე და სიძე დავით ყიფიანი ოჯახებით, თენგიზ ყიფიანი იუწყებიან ექიმ **შალვა გიორგის-ძე ლამბაშიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 17-I 2 ს. ნინოშვილის, 1.


უე 00910 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“